აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№113 (24.993) სამშაბათი, 18 - 19 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 22-27, მთაში - 10-15 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრეზიდენტი არ გამორიცხავს, რომ ქვეყანამ რუსეთთან სავიზო რეჟიმის პირობებს გადახედოს. როგორც სალომე ზურაბიშვილმა მოლდოვაში, თავის კოლეგა მაია სანდუსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, არსებული სავიზო რეჟიმი ლიბერალურია და შეიძლება ამ აგრესიის პირობებში ნაკლებად მისაღები იყოს. მისივე თქმით, რუსეთის მოქალაქეების შემოსვლა საქართველოში გამოწვევაა, თუმცა, „მათ შორის არიან საქართველოს ყოფილი მოქალაქეები, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში იმ სიტუაციის გამო, რაც რუსეთში არსებობს“.

* * *

ჩვენი გმირი ჯარისკაცები გმირულად იცავდნენ ჩვენი ქვეყნის სახელს, ღირსეულად წარმოაჩენდნენ ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა მისიებში, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო ავღანეთში ნატოს არაწევრი ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ქვეყანა იყო, სადაც 30-ზე მეტი გმირი ჯარისკაცი დაკარგეთ, ასეულობით ჯარისკაცი კი დაიჭრა.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციას მიმართავს, 18 ოქტომბრის პლენარული სხდომის კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ, რათა პარლამენტმა კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების პროექტის მიღება შეძლოს. „ვთხოვ ყველას, რომ ვიყოთ დარბაზში და ეს ცვლილება მივიღოთ“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა. პროექტის თანახმად, მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტი გენერალურ პროკურორს სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით აირჩევს. თუ პარლამენტი სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით გენერალურ პროკურორს ორჯერ ვერ აირჩევს, ამ შემთხვევაში, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს.

* * *

პარლამენტში 20 ოქტომბერს, „მინისტრის საათის“ ფორმატში, საგარეო საქმეთა მინისტრს მოუსმენენ. ილია დარჩიაშვილი გაწეული საქმიანობის ანგარიშს წარადგენს, რის შემდეგაც პარლამენტის წევრების კითხვებს უპასუხებს. გაიმართება დებატები. „მინისტრის საათი“ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმია, რომელიც მთავრობის წევრის მიერ წელიწადში ერთხელ პლენარულ სხდომაზე მისვლას და სამთავრობო პროგრამის შესაბამისი მიმართულების შესრულების შესახებ მოხსენებით გამოსვლას გულისხმობს.

მოამზადა
ია ფშველიძემ

ევროპის რეგიონთა ასამბლეის სხდომაზე

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძე და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძე ბრიუსელში, ევროპის რეგიონთა ასამბლეის სხდომას დაესწრნენ

ვიზიტის ფარგლებში, უმაღლესი საბჭოს წევრები ევროპის რეგიონთა ასამბლეის მოქმედ და ყოფილ გენერალურ მდივნებს - კრისტიან სპარს და მეთიუ მორსს, ევროპარლამენტარ ლუკას მანდლს, ხარკოვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ტატიანა ეგოროვა-ლუცენკოს, წევრი რეგიონების სხვა წარმომადგენლებს შეხვდნენ. განხილვის ძირითადი საკითხები იყო - სამომავლო ურთიერთობები, პერსპექტივები, პრიორიტეტები და არსებული გლობალური გამოწვევების დაძლევის პოლიტიკა.

სხდომაზე, გასული წლის საქმიანობის ანგარიში ევროპის რეგიონთა ასამბლეის პრეზიდენტმა მაგნუს ბერნტსონმა წარადგინა. დამტკიცდა 2023 წლის სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი, წევრად მიიღეს უკრაინის 11 რეგიონი.

2022 წლის ევროპის რეგიონთა ასამბლეას, რომელიც ავსტრიის მთავრობის სამეკავშირეო ოფისის ორგანიზებით ჩატარდა, იტალიის, ავსტრიის, რუმინეთის, შვეიცარიის, ალბანეთის, შვედეთის, საქართველოს, ნორვეგიის, ნიდერლანდების და უკრაინის რეგიონების პოლიტიკური თანამდებობის პირები და სახელმწიფო მოხელეები ესწრებოდნენ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური

მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

დარინა გაბაიძე 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, სოფლად შეხვედრების ფარგლებში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან და ხელვაჩაურის თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად მაჭახელას მოსახლეობას შეხვდა.

ზაზა შავაძემ მოსახლეობას სამინისტროს მიმდინარე და 2023 წლისათვის დაგეგმილ პროგრამებზე მიაწოდა ინფორმაცია. მინისტრის განცხადებით, მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას განსაკურებით მნიშვნელოვანია, რათა მოსახლეობის საჭიროებები მასში მაქსიმალურად აისახოს.

შეხვედრა ასევე, გაიმართა ფერიის ადმინისტრაციულ ერთეულში. მოსახლეობას აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ ბერიძე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ დიასამიძე და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე შეხვდნენ. არჩილ ბერიძემ მოსახლეობას სამინისტროს მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია, რის შედეგადაც უპასუხა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს.

ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ, მახინჯაურის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით, რეგიონში მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება. მისი მიზანია, სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სოფელში არსებული გამოწვევების ადგილზე გაცნობა და ადგილობრივებთან ერთად მათი მოგვარების გზებზე მსჯელობა.

ბექა დიასამიძე: ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები არათუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა...

3

ახალგაზრდები გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა ჩაერთონ

USAID-ის სამოქალაქო განათლების ახალი პროგრამა

4

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

შეხვედრა - ზვარეში

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიუარაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, აჭარის მთავრობის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი თამაზ ნიუარაძე აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიუვაძის ინიციატივის - სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში, ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე ადგილობრივებს ნინო ნიუარაძემ და ბადრი ნაკაშიძემ სამინისტროების პროგრამების, პროექტებისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. მოისმინეს მათი წინადადებები, პრობლემები და შესაბამისი უწყებების ჩართულობით იმსჯელეს მოგვარების გზებზე.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრები გაგრძელდება. მისი მიზანი სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების ადგილზე გაცნობა და მათი მოგვარების გზებზე ერთობლივი მსჯელობაა.

„ანტიკორუფციულ მოძრაობას“ კითხვები აქვს განათლების სამინისტროსთან

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმში, „ანტიკორუფციული მოძრაობის“ ოფისში ბრიფინგი გაიმართა, რომელიც აჭარის სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ხელშეკრულებების დარღვეულ ვადებს და მოსწავლეების უსაფრთხოებას შეეხო. როგორც „ანტიკორუფციული მოძრაობის“ წევრმა ლაშა ხოზრევანიძემ განაცხადა, აჭარის სკოლებში სარემონტო სამუშაოების დასრულების და, შესაბამისად, სწავლის დაწყების ვადები დარღვეულია, მოსწავლეები კი სარემონტო სამუშაოების პარალელურად სწავლობენ

- „ანტიკორუფციულმა მოძრაობამ“ შეისწავლა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერები, რომელიც აჭარის რეგიონში სკოლების რეაბილიტაციას შეეხება. მინდა გაცნობოთ, რომ თითქმის ყველა სოფელსა და რაიონში შემსრულებელი კომპანიის მიერ დარღვეულია აბსოლუტურად ყველა ხელშეკრულების ვადა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აჭარის განათლების სამინისტრო ან კორუფციულ გარიგებებშია ამა თუ იმ შემსრულებელ კომპანიასთან, ან მიზეზი არაპროფესიონალიზმშია. დარწმუნებული ვართ, საქმე გვაქვს ორივე შემთხვევასთან. ილუსტრაციისთვის გვინდა წარმოგიდგინოთ იმ სკოლების ჩამონათვალი, სადაც დარღვეულია ხელშეკრულების ვადები. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის პროცესი განახლებულია, პარალელურად, სკოლებში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებიც მიმდინარეობს, რაც საფრთხის შემცველია. ეს სკოლებია: ბათუმის №№№2, 8, 10, 20, 22, 26 საჯარო სკოლები, ქედქედის სკოლა, გვარას სკოლა, გეგელიძეების და ახოს საჯარო სკოლები, განთიადის სკოლა, ხულოს რაიონში - კალოთის საჯარო სკოლა, ქობულეთის რაიონში - კვირიკეს და შუაღელის საჯარო სკოლები... იმ ფონზე, რაც სამწუხაროდ, ქვეყანაში ხდება, რამდენად უსაფრთხოა ბავშვებისთვის, როცა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობს სწავლის პროცესი?! ნათელი მაგალითია № 2 საჯარო სკოლა, რომელზეც რამდენიმე ხნის წინ „ანტიკორუფციულ მოძრაობას“ განცხადებაც აქვს გაკეთებული. განათლების მინისტრმა ქალბატონმა მაიამ, არ ვიცით, მიზანმიმართულად შეიყვანა საზოგადოება შეცდომაში, თუ მას არა აქვს ინფორმაცია, რომ № 2 საჯარო სკოლაში 4-ჯერ მოხდა ხელშეკრულების გადავადება (ამის შეთანხმებებიც გვაქვს სამინისტროსა და კომპანიას შორის გაფორმებული) თითქმის ერთი წლის განმავლობაში და მიუხედავად იმისა, კომპანიას ათვისებული აქვს ტენდერის 100%, გადაუვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადა. მინდა, ასევე, შევეხო ქედქედის საჯარო სკოლას, რომელიც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ და ხელვაჩაურის მერმა ზაზა დიასამიძემ პომპეზურად გახსნეს. აღნიშნული სკოლის ტენდერიც შევისწავლეთ და გვაქვს წარმოდგენილი დოკუმენტები, სადაც დასტურდება, რომ აღნიშნული სკოლა ჯერ კიდევ არ არის ჩაბარებული. წარმოდგენილი გვაქვს, ასევე, სურათები, რომელიც მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად უხარისხოდ არის შესრულებული თითქმის ყველა სახის სამუშაო. ძალიან მარტივი შეკითხვა გვაქვს აჭარის განათლების სამინისტროსთან: რამდენად იღებენ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ აჭარის სკოლებში, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, უსაფრთხო გარემოა ჩვენი შვილებისთვის? სკოლებში, სადაც ათასობით მოსწავლე დადის ყოველდღიურად?! - განაცხადა ანტიკორუფციული მოძრაობის წევრმა ლაშა ხოზრევანიძემ.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ჯემალ სურმანიძის განცხადებით, მასშტაბური პროექტების განხორციელება საზაფხულო არდადეგების დროს, 3 თვის განმავლობაში, შეუძლებელია. ამ ეტაპზე სწავლა მიმდინარეობს დისტანციურად, ალტერნატიულ ფართში, ან საკლასო ოთახებში ისე, რომ მოსწავლეების უსაფრთხოება დაცულია.

- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, როდესაც სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად შესაძლებელია სასწავლო პროცესის წარმართვა და დაცული იქნება უსაფრთხოების ზომები, ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესის პარალელურად ხორციელდება სარეაბილიტაციო კეთილმოწყობითი სამუშაოები. თუმცა ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სარეაბილიტაციო ფართი გამიჯნულია იმ ფართისგან, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და უსაფრთხოების ნორმები არის სრულად დაცული. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მოწოდების ვადის გადაწევა არ ყოფილა ერთი დღითაც კი. მოწოდების ვადა არის ის კონკრეტული თარიღი, რა ვადაშიც კომპანიამ უნდა დაასრულოს სარეაბილიტაციო თუ სამშენებლო სამუშაოები. შესაბამისად, ამ ვადის დადგომისთანავე, მეორე დღიდანვე კომპანიას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეკისრება პირგასამტეხლო, შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულებიდან გამომდინარე, ხოლო მოქმედების ვადის გადაწევა ხდება ხშირად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რჩება პირგასამტეხლო, - განაცხადა ჯემალ სურმანიძემ.

გიორგი დიმიტრაძე საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონია ბილიარდში

ნანა დავითაშვილი 598 24 94 97

14-16 ოქტომბერს ახალქალაქში, სამცხე-ჯავახეთის ისტორიაში პირველად, საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა თავისუფალ პირამიდაში

აქამდე აქ ეროვნული ჩემპიონატი არ გამართულა, რადგან შესაბამისი ზომისა და რაოდენობის მაგიდები არ იყო. როგორც აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თემურ კახიძემ გვითხრა, ამ დღეებში ახალქალაქში გაიხსნა ახალი სოლიდური საბილიარდე, სადაც 11 მაგიდა დგას. აქ უკვე შეიძლება ნებისმიერი დონის შეჯიბრების ჩატარება. სწორედ ამან მისცა ორგანიზატორებს შესაძლებლობა, რომ ჩემპიონატი ძალიან მოკლე დროში - დღენახევარში ჩატარებულიყო, რადგან მაგიდის სიმრავლე ერთდროულად რამდენიმე შეხვედრის გამართვის საშუალებას იძლევა.

- ჩემპიონატის ახალქალაქში ჩატარება კიდევ იმიტომ გვინდოდა, რომ საქართველოს საბილიარდო სფეროში კიდევ ერთი ახალი ადგილი გამოჩენილიყო და ვფიქრობთ, რომ მომავალი ჩემპიონატების რიცხვში უკვე ახალქალაქი, როგორც ერთ-ერთი მასპინძელი ქალაქი, სტაბილურად ჩაჯდება. იქაური მობილიარდეები მანამდეც მონაწილეობდნენ საქართველოს ჩემპიონატებზე, მაგრამ ამ ჩემპიონატზე, როგორც მასპინძელ ქალაქს, ხუთი ადგილი გამოეყო. მართალია, შედარებით (ჯერჯერობით) სუსტად თამაშობენ და მხოლოდ ერთი მობილიარდე შევიდა 12 საუკეთესო მობილიარდეს შორის, მაგრამ ასეთ ტურნირებზე გამოცდილებას მიიღებენ. ინტერესი მოემატათ. იციან, რომ მომავალშიც ჩატარდება მათ ქალაქში მსგავსი ღონისძიება და სპორტის ეს სახეობა აქ პოპულარობას შეიძენს. ისინიც მაღალი დონის შეჯიბრებებისთვის უფრო გულმოდგინედ მოემზადებიან, - გვითხრა ბატონმა თემურმა.

ჩემპიონატი განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა ჩვენი მობილიარდეებისთვის. ხუთი ადამიანი მოხვდა რვა საუკეთესოს შორის. ორი - გიორგი დიმიტრაძე და ნუგზარ თებიძე პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ. პირველი შემთხვევაა საქართველოს ისტორიაში, რომ საქართველოს ჩემპიონატში ერთი და იმავე პიროვნებამ (ერთი წლის განმავლობაში) მოიგო პირამიდის სამივე სახეობა - დინამიკური (თელავი), კომბინირებული (ბათუმი) და თავისუფალი (ახალქალაქი), ეს წელს მოხდა - იგი გახლავთ ჩვენი თანაქალაქელი, 29 წლის გიორგი დიმიტრაძე. სხვათა შორის, ის შარშანაც ახლოს იყო ამ ტიტულთან, რადგან ორ სახეობაში იმარჯვა, მაგრამ მესამეში ჩემპიონობა ასევე ბათუმელ ვიქტორ ფიფიას ერგო. მეორე ადგილზე ნუგზარ ფიფია გავიდა, მესამეზე - საბა ნუცუბიძე და სანდრო ჩიტაია.

საქართველოს მობილიარდეები ახლა ემზადებიან საქართველოს ფდერაციის თასის გათამაშებისთვის, ასევე, აჭარის ფედერაციის ღია თასისთვის, სადაც საქართველოს უძლიერესი მობილიარდეები შეიკრიბებიან. აღსანიშნავია, რომ ბათუმში შეიძინეს ბილიარდის მაღალი დონის მაგიდები სახეობაში - პული და ჩვენი ქალაქი უკვე მზადაა, რომ ამ სახეობაში ნებისმიერი დონის ტურნირს უმასპინძლოს. ერთ-ერთი იქნება საქართველოს ჩემპიონატი პულში, რომელიც ნოემბრის მეორე ნახევარში გაიმართება.

შაბათ-კვირის ქრონიკა

ვაკის პარკში დენის დარტყმის შედეგად დაღუპული 13 წლის მარიტა მეფარიშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს ბათუმში. ახალგაზრდები ყვავილებით და სათამაშოებით ჯერ ევროპის მოედანზე შეიკრიბნენ, შემდეგ კი მსვლელობით, ბულვარში მდებარე შადრევანთან გადაინაცვლეს, სადაც სანთლები დაანთეს. ადგილზე მოქალაქეებმა ყვავილები და გარდაცვლილი მოზარდის ფოტო მიიტანეს.

* * *

საქართველოში ჰიპერტენზიის გამოვლენის, შეფასებისა და მართვის სიახლეებზე, ასევე, კვლევის ტრადიციასა და მის პერსპექტივაზე ისაუბრეს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოება, აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი.

* * *

მში ექიმი-ნუტრიციოლოგის, პროფესორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა - „პირადი ექიმის“ - ავტორისა და ტელეწამყვანის მარი მალაზონიას წიგნის „კვებითი შუქნიშანი“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას ავტორიც ესწრებოდა. მარი მალაზონიამ შეხვედრის მონაწილეებს პირადად გააცნო „კვებითი შუქნიშნის“ კონცეფცია და ესაუბრა შუქნიშნის პრინციპზე დაფუძნებულ კვებით რჩევებზე, ასევე, კვების როლზე, კვების ტიპებსა და მოდელებზე. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ინტელექტმა“ და დაიწყო სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი, რომლის ფარგლებშიც ავტორთან შეხვედრა და წიგნის პრეზენტაცია საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართება.

* * *

ეროვნული ლიგის 30-ე ტურის შეხვედრაში „დინამო“ ბათუმმა საკუთარ მოედანზე გორის დილა 3:2 დაამარცხა. 35-ე წუთზე რადინის ჩაწოდების შემდეგ გუნდის კაპიტანმა მამუკა კობახიძემ ანგარიში გახსნა. 42-ე წუთზე ჯოვინოს გადაცემის შემდეგ, მილან რადინმა სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა. პირველი ტაიმის ბოლოს კი ფანცულაიამ ჯოვინო ფლამარიონს გაატანინა გოლი და პირველი ტაიმი გია გეგუჩაძის გუნდმა 3:0 მოიგო. მეორე ნახევარში „დილა“ უფრო აქტიური იყო. განსაკუთრებით 55-ე წუთის შემდეგ, როდესაც ჯიღაურმა წითელი ბარათი მიიღო და „დინამო“ 10 კაცით დარჩა. 81-ე წუთზე კაპანაძემ ერთი გოლი გაქვითა, 10 წუთში კი უკვე დუბლი გაიფორმა და გორელებს მატჩის გადარჩენის შანსი მისცა. შეხვედრის კომპენსირებულ დროში დილა უტევდა, თუმცა საბოლოო ჯამში, ბათუმელებმა 3 ქულის მოპოვება შეძლეს და გაიმარჯვეს. მომდევნო შეხვედრას შავიზღვისპირელები გასვლაზე 21 ოქტომბერს თბილისის „საბურთალოს“ წინააღმდეგ ითამაშებენ.

მოამზადა
ია შველიძემ

ბექა დიასამიძე: ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები არათუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*დამოუკიდებლობის და დემოკრატიის გზა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ადგას, სიძნელეებითა და დაბრკოლებებითაა სავსე: რუსეთის მცოცავი ოკუპაცია, არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, ოპოზიციის და მმართველი პარტიის შეუთანხმებლობა მნიშვნელოვან საკითხებში, ოპოზიციური სპექტრის ფარული ურთიერთდაპირისპირება, საზოგადოების ინდიფერენტულობა... ამ მიმართებით არაერთი კითხვა ჩნდება, რომლებზეც ამჯერად „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ბექა დიასამიძე** გვიპასუხებს.*

- ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია გარკვეულწილად გამოცოცხლდა, ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ მმართველი პარტიიდან წასულებმა საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“ ჩამოაყალიბეს. ახლახან „ქართული ოცნება“ კიდევ ხუთმა წევრმა დატოვა და ე. წ. ოთხეულს შეუერთდა, ეს რისი მანიშნებელია?

- ოთხეულის ცხრა წევრამდე გაზრდა იმაზე მიუთითებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ცდილობს თამაშის წესები შეცვალოს არა მარტო ქართულ პოლიტიკაში, არამედ „ქართული ოცნების“ შიგნითაც. ერთი ფრთიანი გამონათქვამია: „ყველა კვერცხის ერთ კალათაში მოქცევა არ შეიძლება“. სწორედ ამ პრინციპის დაცვას ცდილობს ივანიშვილი. მის მიზნებს რამდენად უწერია შესრულება საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე შეცვლილი კონიუნქტურის პირობებში, დრო გვიჩვენებს.

- მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ მათ მოუწევთ ამ ახალ ძალასთან („ახალი ძალა“) ურთიერთობა და კომპრომისზე წასვლა, ოპოზიცია კი ზემოაღნიშნულ ძალას ხელისუფლების სატელიტად მოიხსენიებს, რას ფიქრობთ?

- „ქართული ოცნებაც“ და „ხალხის ძალაც“ ივანიშვილის პროექტია, ეს სადავოც არ არის და არ მეგულება ადამიანი, რომელიც გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ მმართველი პარტიის ახალი ფრთა დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფია, რომელსაც დამოუკიდებელი პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს. ხუნდაძე-სუბარის კოალიცია შეიქმნა იმიტომ, რომ ირაკლი კობახიძეს პარლამენტში დამოუკიდებლად საკითხების გადაწყვეტის საშუალება ივანიშვილს მოესპო („ქართული ოცნება“ აღარ იმყოფება უმრავლესობაში). ამით კობახიძეს აგრძნობინეს, ვინ არის პარტიაში გადაწყვეტილების მიმღები. მეორე ამოცანა ის არის, რომ იმათი ხმები, ვინც 5 ივლისის აქციები მოაწყვეს არჩევნების დროს, „ქართულმა ოცნებამ“ არ დაკარგოს. უბრალოდ, ამ ხალხს სპიკერები შეუცვალეს, ეტყობა ალტ-ინფომ მათი ან კრემლის იმედები არ გაამართლა. ეგრეთ წოდებული ამბოხებულების მესამე ამოცანაა ის, რომ მწვავედ დაუპირისპირდნენ ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორებს, ამერიკელებს, მანამ, სანამ ივანიშვილი მათ ევაჭრება. არაფორმალური მმართველი ხუნდაძის პირით გზავნილს უგზავნის დასავლეთს, რომ მას შეუძლია საგარეო პოლიტიკის კურსი შეუცვალოს ქვეყანას, თუ მის პირად ინტერესებს მომავალში არ გაითვალისწინებენ.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ მათი მმართველობით მოსახლეობა კმაყოფილია. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ათი წელია, როგორ აფასებთ მათ საქმიანობას?

- „ქართული ოცნების“ არც საშინაო, არც საგარეო პოლიტიკა არ შეიძლება დადებითად შეფასდეს. ფაქტობრივად, ბოლო 10 წელი ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა. მკვეთრი გარღვევა რომელიმე ერთი მიმართულებით არ გვქონია. ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები არათუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა. დღეს საქართველო მხოლოდ ინერციით მოძრაობს. ეკონომიკა გულით დაავადებულ პაციენტს ჰგავს, რომელსაც ხელოვნურ სუნთქვებს უტარებენ, რომ არ მოკვდეს, მაგრამ ოპერაციის ჩასატარებლად მთავრობას კომპეტენცია არ ჰყოფნის. მოსახლეობა ამას საკუთარ კანზე გრძნობს და როგორ შეიძლება კმაყოფილი იყოს?

- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, ქვეყანა ვითარდება და ოპოზიციის შენიშვნები უსამართლოა. ძირითადად, რა პრეტენზიები აქვს მათთან თქვენს პარტიას?

- პრემიერ-მინისტრისგან ხშირად გვესმის, რომ ეკონომიკის არნახული ზრდა გვაქვს და იგი დუღს. თუ ეკონომიკა გარკვეულწილად, იზრდება, ეს მხოლოდ მთავრობასთან დაახლოებული მსხვილი ბიზნესის მფლობელებისა და ბანკების-თვის. უბრალო ხალხი და მცირე ბიზნესი ამ ზრდას ვერ გრძნობს. რატომ იცით? იმიტომ, რომ არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა გვაქვს. რა პოლიტიკასაც ვაწარმოებთ, მორგებულია არა ხალხზე, არამედ ბაზრის მონოპოლისტებზე, რაც საბოლოო ჯამში, ეკონომიკაში კონკურენციის განვითარებას არ უწყობს ხელს. კონკურენცია პრინციპში არც აწყობთ. ღარიბი და დაჩიავებული ხალხის მართვა ხომ უფრო ადვილია, ხოლო დიდი ბიზნესიდან პარტიაში „ატკატები“, ანუ პარტიული შემოწირულობები მისდით. კარგად დალაგებული სქემა აქვთ. მეორე საკითხი, რომელიც ეკონომიკურ თემებთან დაკავშირებით მეტად აქტუალურია ჩვენს ქვეყანაში და მთავრობა სათანადო ყურადღებას არ უთმობს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ზრდაა. საქართველოს სამეზობლოში მძიმე პოლიტიკური და სამხედრო ვითარებაა შექმნილი. ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია. ასეთ სიტუაციაში საქართველო მოუმზადებელი ხვდება მძიმე გამოწვევებს. იმის ნაცვლად, რომ ჩვენი სამხედრო შესაძლებლობები გავზარდოთ, თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან აქტიური თანამშრომლობით, მმართველი ძალა ხუნდაძის პირით ამერიკის ელჩზე თავდასხმებს ააქტიურებს.

> *„ჩვენი გუნდისთვის ახლა მთავარი საკითხია ყველა პროევროპული პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ძალის გაერთიანება და მობილიზაცია. რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ შიდა საკითხებს, ეს მათი პარტიული გამოწვევებია და იმედი გვაქვს, რომ მოკლე ვადაში აღმოიფხვრება. ახლა მთავარია პრორუსული უმცირესობისგან მიტაცებული ძალაუფლებისა და ჩვენი სამშობლოს დაბრუნება პროევროპელებისთვის*

- მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ამ მიმართებით უახლოეს ხანში მნიშვნელოვან გეგმას წარმოგვიდგენს ოპოზიციის გააქტიურებისა და გაერთიანებისთვის, გვიამბეთ ამის შესახებ...

- გაერთიანებას ალტერნატივა არ აქვს. ჩვენი პოლიტიკური ძალა „ძალა ერთობაშიას“ შექმნის ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი იყო. მიმდინარეობს კონსულტაციები, დასრულების შემდეგ აუცილებლად გავასაჯაროებთ შედეგებს.

- ამბობენ, რომ შესაძლოა „ნაცმოძრაობა“ ორ ნაწილად გაიყოს. როგორ ფიქრობთ, უსააკაშვილოდ „ნაცმოძრაობა“ დაკარგავს მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს?

- ჩვენი გუნდისთვის ახლა მთავარი საკითხია ყველა პროევროპული პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ძალის გაერთიანება და მობილიზაცია. რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ შიდა საკითხებს, ეს მათი პარტიული გამოწვევებია და იმედი გვაქვს, რომ მოკლე ვადაში აღმოიფხვრება. ახლა მთავარია პრორუსული უმცირესობისგან მიტაცებული ძალაუფლებისა და ჩვენი სამშობლოს დაბრუნება პროევროპელებისთვის. თუმცა სამწუხარო ფაქტია, რომ საჯაროდ გახდა ცნობილი „ნაცმოძრაობის“ შიდა განხეთქილების შესახებ, ახლა შიდა დაპირისპირების დრო ნამდვილად არ არის.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ - არ წყდება რუსების ნაკადი ჩვენს ქვეყანაში, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ კრემლმა ისინი საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოიყენოს?

- არ არის გამორიცხული. როგორც ისტორიამ გვაჩვენა, მსგავსი საშიშროება არსებობს და რუსეთს შეუძლია საქართველოსთან მიმართებაში ეს სცენარი გაითამაშოს. ვშიშობ, ეკონომიკური სარგებელი, რომელიც რუსების შემოშვებით მიიღო ქვეყანამ, უმნიშვნელოა იმ საფრთხეებთან შედარებით, რაც შესაძლოა დაგვიდგეს ამ გადაწყვეტილების მიღების შედეგად.

- ვხედავთ, რომ უკრაინა ათავისუფლებს დაპყრობილ ტერიტორიებს პარალელურად, რუსეთი ბირთვული იარაღით აშანტაჟებს მსოფლიოს, რა სტადიაშია თქვენი აზრით, რუსეთ-უკრაინის ომი?

- კარგად უნდა გვესმოდეს, რომ პუტინს შეუძლია ბირთვული იარაღის გამოყენება. შეიძლება ვცდები, მაგრამ, ვფიქრობ, მისი პიროვნების ფსიქოტიპი ამის მანიშნებელია. იგი ამ ნაბიჯზე წამსვლელი არის, მაგრამ რა უნდა და რა შეუძლია, ორი სხვადასხვა საკითხია. რაც უფრო მეტი დრო გავა ომის დაწყებიდან, პუტინის სურვილი - დაარტყას მოწინააღმდეგეს ტაქტიკური ბირთვული იარაღით - გაიზრდება, მაგრამ ამდენითვე შემცირდება მისი გამოყენების შესაძლებლობა, რადგან გადაწყვეტილების აღსრულებაში რამდენიმე ადამიანი უნდა იყოს ჩართული და ყველა არ იქნება მსგავსი ნაბიჯის გადადგმისთვის მზად. ვფიქრობ, ბირთვული ომის საშიშროების გამო გაიწელა დროში უკრაინის ომი (ეს ერთ-ერთი ფაქტორია), წინაადმდეგ შემთხვევაში დასავლეთს უკრაინისთვის თავიდანვე შეეძლო ისეთი შეიარაღების მიწოდება, რაც მოკლე ვადაში გაანადგურებდა რუსულ არმიას, მაგრამ გაზრდიდა ბირთვული იარაღის გამოყენების შანსებს.

- დაბოლოს, უდავოა, რომ ფანჯარა ნატოსა და ევროკავშირში გასაწევრიანებლად ახლა გარკვეულწილად, ღიაა. ეს შანსი რომ ქვეყანამ გამოიყენოს, ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს და ოპოზიციას თუ გააჩნია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კონკრეტული გეგმა?

იხ. მე-7 გვ.

უცხოეთი

გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე ჰუმანიტარულ საკითხებში მარტინ გრიფიტსი მარცვლეულის ექსპორტზე მოლაპარაკებებისთვის მოსკოვში ჩავიდა. მან გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის გენერალურ მდივან რებეკა გრინსპანთან ერთად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი ვერშინინთან მოლაპარაკებები გამართა. დასავლური მედიის ინფორმაციით, ივლისში გაეროს, რუსეთს, უკრაინასა და თურქეთს შორის გაფორმებული შეთანხმების შემდეგ, ექვს მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტი განხორციელდა უკრაინიდან. თავდაპირველ შეთანხმებას 120-დღიანი ვადა მომავალ თვეში ეწურება. როგორც კვირის დასაწყისში გრიფიტსმა განაცხადა, ის დარწმუნებულია, რომ შეთანხმება გახანგრძლივდება.

* * *

ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის საერთაშორისო საზღვრის სომხეთის მხარის გასწვრივ ევროკავშირის მონიტორინგის 40 სპეციალისტები გაგზავნოს რეგიონში სიტუაციის მონიტორინგის, ანალიზისა და ანგარიშის მომზადების მიზნით, - ამის შესახებ ევროკავშირის საბჭოს პრესრელიზშია აღნიშნული. „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სწრაფი განთავსების უზრუნველსაყოფად, ევროკავშირის საბჭომ გადაწყვიტა, მონიტორინგის სპეციალისტები დროებით გაგზავნოს საქართველოში მოქმედ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიიდან. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია იღებს ოპერატიულ ზომებს, რომ ეს არ აისახოს საქართველოში მისი მონიტორინგის შესაძლებლობაზე“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. საბჭოს ცნობით, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გასწვრივ სადამკვირვებლო მისია დროებითი ხასიათის იქნება და ორ თვეზე მეტ ხანს არ გაგრძელდება

* * *

რუსეთის უკრაინაში შეჭრამ და მისმა ეკონომიკურმა შედეგებმა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში 4 მილიონი ბავშვი სიღარიბეში ჩააგდო, - ამის შესახებ გაეროს ბავშვთა სააგენტო „იუნისეფმა“ განაცხადა. ორგანიზაციის მტკიცებით, შემდეგ ყველაზე მეტად რუსი და უკრაინელი ბავშვები დაზარალდნენ. „სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების გაზრდილი რაოდენობის თითქმის სამი მეოთხედი რუსეთზე მოდის“, - აცხადებენ „იუნისეფში“. მათივე შეფასებით, რუსეთს უკრაინა მოჰყვება, სადაც ომის გამო სიღარიბეში კიდევ ნახევარი მილიონი ბავშვი აღმოჩნდა, მესამე ადგილზე კი რუმინეთია, სადაც ომმა და მისმა ეკონომიკურმა შედეგებმა სიღარიბეში 110 000 ბავშვი ჩააგდო.

* * *

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ბელგოროდის ოლქში, პოლიგონზე სროლას, სადაც ჯარისკაცები უკრაინაში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ, 11 ადამიანი ემსხვერპლა, 15 კი დაიჭრა. უწყების მტკიცებით, ცეცხლი დსთ-ის ქვეყნების ორმა მოქალაქემ გახსნა. მათივე ცნობით, ორივე მათგანი ლიკვიდირებულია. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მომხდარს ტერაქტს უწოდებს, თუმცა ჯერჯერობით არ განმარტავს, როგორ აღმოჩნდნენ სამხედრო პოლიგონზე უცხოეთის მოქალაქეები.

ახალგაზრდები გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა ჩაერთონ

USAID-ის სამოქალაქო განათლების ახალი პროგრამა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ახალი პროგრამის წარდგენას სასტუმრო „რედისონში“ ათობით ადამიანი დაესწრო, მათ შორის რეგიონის მასშტაბით პროგრამაში ჩართული 72-ვე სკოლის წარმომადგენლები

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა ხორციელდება PH interneishenal-საქართველოს მიერ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. აჭარის რეგიონში პროგრამის პარტნიორია ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი (დირექტორი - მაია ქათამაძე).

სამოქალაქო განათლების მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და სკოლების დირექტორებთან ერთად ღონისძიებას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრას უძღვებოდა ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის დირექტორი მაია ქათამაძე, სწორედ ეს ცენტრი ხელმძღვანელობს აჭარაში აღნიშნული პროექტის განხორციელებას.

დამსწრეებს სიტყვით მიმართეს USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორმა მარინა უშვერიძემ და USAID-ის წარმომადგენელმა ნინკა ბუაჩიძემ, რომლებმაც პროგრამის ძირითად მიზნებზე ისაუბრეს.

როგორც მაია ქათამაძემ აღნიშნა, პროექტის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის ხელშეწყობას, ბიზნესისა და კერძო სექტორის დაკავშირებას სკოლებთან. ახალ პროგრამაში საქართველოს მასშტაბით ჩაერთვება 650 სკოლა, მათ შორის აჭარაში - 72.

- პროექტის განხორციელებას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით, რადგან ვიცით - ეს ამერიკელი ხალხის ფულია, რაც ჩვენი დემოკრატიისთვის, განვითარებისთვის უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი პროგრამა ვერ იქნებოდა წარმატებული, საქართველოს განათლების სამინისტროსა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერა რომ არ გვქონოდა. წარმატებას რომ ვაღწევთ, ვიცით, ამაში მათი დიდი წვლილია. მადლობა მათ, მადლობა USAID-ს და პარტნიორ ორგანიზაციებს, რადგან ამ პროგრამის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს, - გვითხრა მაია ქათამაძემ.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელით შეკრებილებს მიესალმა მინისტრის მოადგილე ჯემალ სურმანიძე.

- USAID უკვე 30 წელია, საქართველოში სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს, მათ შორის - განათლების, რასაც დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით. ერთ-ერთი პროგრამაა „სამოქალაქო განათლება სკოლებში“. მისი განხორციელება უკვე დაახლოებით ათი წელია, სხვადასხვა სახელწოდებით მიმდინარეობს. ერთ-ერთი იყო „მომავლის თაობა“, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და შარშან წარმატებით დასრულდა. მისმა წარმატებამ ბიძგი მოგვცა, რომ ახალი პროგრამა დაგვეწყო, ახალი თემებით და დღეს სწორედ ახალი პროგრამის წარდგენაა. მინდა მივულოცო აჭარის სკოლებს და დარწმუნებული ვარ, ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც მისი წინამორბედი, - გვითხრა USAID-ის „სამოქალაქო განათლების“ პროგრამის კურატორმა ნინკა ბუაჩიძემ.

- USAID-ის ახალი პროგრამის მიზანია სამოქალაქო განათლების მხარდაჭერა და ხელშეწყობა სკოლებში. პროგრამას რამდენიმე მთავარი მიმართულება აქვს, ერთია, სკოლებში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბება და გაძლიერება, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლის მოსწავლეებმა უფრო მეტად მიიღონ მონაწილეობა სკოლის, საზოგადოების ცხოვრებაში. ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ როგორც სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რესურსცენტრებთან, სამოქალაქო განათლების პედაგოგებთან, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობებთან, რომლებსაც ისე გავაძლიერებთ, რომ არა მხოლოდ ქაღალდზე დარჩეს, არამედ თავისი ფუნქცია შეასრულოს, აქტიური და დატვირთული გახდეს. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია, სკოლების მხარდამჭერი გავხადოთ კერძო სექტორი. საქართველოში უკვე ბევრი წარმატებული ბიზნესია ადგილობრივი, ქართული, რომელსაც უფრო მეტის გაკეთება შეუძლია სკოლების მხარდასაჭერად. გარდა ამისა, ჩვენ შევიმუშავებთ ბევრ ციფრულ რესურსს სამოქალაქო განათლების მხარდასაჭერად, რაც გულისხმობს ციფრულ ოლიმპიადებს პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის. გარდა ამისა, იქნება სკოლის ლიდერობის ციფრული ფორუმები, ონლაინკურსები, სადაც მოსწავლეები ჩაერთვებიან მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად. ეს ძალიან ეფექტურია, რაც ზოგავს დროს და ვფიქრობთ, ასეთი ელექტრონული რესურსებით სარგებლობა და ელექტრონულ ვერსიებში მონაწილეობა მოსწავლეებს ძალიან მოეწონებათ. პროგრამა გაგრძელდება ხუთ აკადემიურ წელს და ამ ხნის განმავლობაში სკოლებს გავუწევთ მხარდაჭერას. ყოველ წელს გავმართავთ სამოქალაქო პედაგოგთა კონფერენცია-გამოფენას, სადაც რეგიონების მიხედვით გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგები. ეს პრაქტიკა დავამკვიდრეთ წინა პროგრამის ფარგლებში და ძალიან კარგი ტრადიცია - მათი შრომის დაფასება კვლავაც გაგრძელდება. ამას დაემატება დემოკრატიული სკოლის ყოველწლიური ფორუმი, სადაც ასევე საქართველოს მასშტაბით გამოვლინდება ყველაზე დემოკრატიული სკოლა. შეიძლება გამოვლინდეს რამდენიმე, მათი მიღწევების შესაბამისად, - აღნიშნა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორმა მარინა უშვერიძემ.

- ჩართული ვიყავი „მომავლის თაობის“ პროექტში და ჩემს თვალწინ მოხდა გარკვეული ცვლილებები. დღეს იმედიანად ვარ, რომ გაიზარდა სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა. ამაღლდა მასწავლებელთა ცოდნის ხარისხი, გაიზარდა ბავშვთა ჩართულობა. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეს პროექტი ადამიანებს პირდაპირ ეხმარება ყველა სფეროში. ის, რასაც ამ პროექტის მიმდინარეობისას ვაკეთებთ, ყველა სფეროში მომუშავე ადამიანს გამოადგება - აქტიური მოქალაქე გახდება. ბავშვები თამამად ახერხებენ კომუნიკაციას, თანამშრომლობას. დიდი მადლობა ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს მუდამ გვერდით დგომისთვის. ბავშვები თანამშრომლობენ სხვა სკოლებთან, გამოცდილებას იძენენ. მჯერა, ახალ თაობაში ჩათესილი ეს მარცვალი სამომავლოდ კარგ შედეგს გამოიღებს, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვერნების საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ინდირა გაბაიძემ.

- ყველაზე მთავარი, რაც ამ პროექტმა მასწავლა არის ჩემი მნიშვნელობა და როლი ქალაქის განვითარებაში, ვგულისხმობ დემოკრატიული პროცესების მართვას, რომ ვიყო უფრო აქტიური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან ვთვლი, რომ ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია. წინაალმდეგ შემთხვევაში გამოწვევებს სათანადოდ ვერ ვუპასუხებთ და არც გვექნება უფლება დავადანაშაულოთ ის ადამიანები, რომლებმაც გადაწყვეტილება მიიღეს, რადგან ჩვენ მათთან ერთად არ ვიყავით, - გვითხრა პროექტის „ბათუმის ურბანული დღის წესრიგი“ მენეჯერმა მარიამ მორჩაძემ.

- არაერთ პროექტში იყვნენ ჩვენი მოსწავლეები ჩართულები და დღეს უკვე ვხედავთ შედეგს - თითოეული მათგანი ახლა სხვადასხვა პოზიციაზეა დასაქმებული და ძალიან აქტიური ახალგაზრდები არიან. მივესალმებით ამ ახალ პროგრამას და დარწმუნებული ვარ, ის კიდევ უფრო მეტ აქტიურ, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე მოქალაქეებს შემატებს ჩვენს ქვეყანას, რომლებიც შემდგომ დიდ წვლილს შეიტანენ ქვეყნის განვითრებაში, რესურსცენტრი მაქსიმალურად ბევრ მოსწავლეს ჩართავს ამ პროგრამაში, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ.

- ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორი იყო განათლების სისტემა საბჭოთა კავშირის დროს. გვახსოვს სკოლა, რომელიც მორგებული იყო სისტემაზე და არა მოსწავლეზე, სადაც პრიორიტეტი ენიჭებოდა არა პიროვნებების, არამედ სპეციალისტების აღზრდას. შედეგად მივიღეთ მოქალაქეები, რომლებმაც იციან თავისუფლების ფასი და არიან მარტივად სამართავები, რაც მტრისთვის ძალიან ხელსაყრელია. დღეს, ამერიკელი ხალხის დახმარებით, შესაძლებლობა გვაქვს, ჩავერთოთ USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში, ვისწავლოთ, რა არის თავისუფლება და გავიგოთ, როგორ გავხდეთ პიროვნებები. ეს არის მეგობრობის და კეთილსინდისიერი მხარდაჭერის სიმბოლო, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ, - აღნიშნა ბათუმის №4 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე თემო ტარიელაძემ.

> ***USAID-ის ახალი პროგრამის მიზანია სამოქალაქო განათლების მხარდაჭერა და ხელშეწყობა სკოლებში. პროგრამას რამდენიმე მთავარი მიმართულება აქვს, ერთია, სკოლებში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბება და გაძლიერება, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლის მოსწავლეებმა უფრო მეტად მიიღონ მონაწილეობა სკოლის, საზოგადოების ცხოვრებაში***

როგორ ერთობიან ახალგაზრდები და რა სურთ მეტი თავისუფლებისათვის?

ნანა აბულაძე 591 98 59 17

როგორ ერთობიან ქართველი ახალგაზრდები დღეს და რას აკეთებენ თავისუფალ დროს? ამ კითხვით რამდენიმე ახალგაზრდას მივმართეთ

სანამ მათ პასუხებს შემოგთავაზებთ, გეტყვით, რომ ძირითადი, რაზეც ახალგაზრდები რეგულარულად ხარჯავენ დროს, ეს მუსიკის მოსმენა, ფილმების ყურება და მეგობრებთან ერთად გართობაა, ახალგაზრდების არცთუ ისე დიდი ნაწილისთვის კი თავისუფალი დრო სპორტულ აქტივობებსა და ლაშქრობასთან ასოცირდება. მათ ასევე ვკითხეთ, გართობის დროს რამდენად არიან თავისუფლები და ამ კუთხით ხომ არ არსებობს რაიმე ხელისშემშლელი პირობა, რაც ერთგვარ დისკომფორტს უქმნით. ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ თავისუფალია, რადგან უკვე სრულწლოვანია და ესმის, რა არის მისთვის კარგი და ცუდი, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ჩუმად გაგვანდეს, რომ მათ გართობას, თუნდაც ღამის ორ-სამ საათამდე, „ხელს უშლის“ მშობელი, რომლის არგუმენტია, რომ მართალია, შვილს ენდობა და იცის, რომ ცუდს არაფერს ჩაიდენს, მაგრამ არ ენდობა სხვას და სურს იგი დროულად დაბრუნდეს სახლში. დღეს, როცა სხვადასხვა კაფესა თუ რესტორანში, ასევე ღამის კლუბში არაერთი შეხლა-შემოხლის მომსწრენი გავმხდარვართ, ბუნებრივია, მშობლის პოზიცია, რითაც ცდილობს შვილი აარიდოს შესაძლო ჩხუბს, აგრესიას, რასაც ზედმეტი ალკოჰოლის მიღების დროს არცთუ ისე იშვიათად გამოხატავენ ადამიანები. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ ხშირად ამა თუ იმ კუთხით აკრძალვები „აკრძალული ხილი გემრიელიას“ პრინციპით ცდუნებას რთავს მათში და ცდილობენ, რაიმენაირი ხერხით მაინც გაერთონ ისე და იმ დროით, როგორც მათ სურთ. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, მშობლებმა პატივი უნდა სცენ შვილების პირად სივრცეს, მაგრამ თუ ეს საფრთხეს უკავშირდება, არ უნდა დატოვონ უკონტროლოდ. ამ შემთხვევაში რთულია გავარკვიოთ, სად გადის ზღვარი მოზარდის თავისუფლებასა და კონტროლის საჭიროებას შორის მაშინ, როცა ახალგაზრდები ეგოცენტრულ ასაკში იმყოფებიან, ანუ, ისინი მოვლენებს მხოლოდ საკუთარი თვალთახედვით აღიქვამენ და უჭირთ სხვისი პოზიციიდან მათი შეფასება. ასეთ დროს ვფიქრობთ, რომ აუცილებელია მშობელმა უფრო მეტად მოუსმინოს შვილს და დაეხმაროს თვითდამკვიდრებაში, აგრძნობინოს, რომ ის მის გვერდითაა და მხარს უჭერს. ჩავატარეთ ახალგაზრდების გამოკითხვა სხვადასხვა კაფე-ბარსა თუ ქუჩაში, რათა ერთგვარი სურათი დაგვეხატა, თუ როგორ ერთობიან ახალგაზრდები დღეს და რა მიაჩნიათ ამ კუთხით თავისუფლებად. გამომდინარე იქიდან, რომ რესპონდენტების ნაწილი არასრულწლოვანია, გადავწყვიტეთ ანონიმურობა დაგვეცვა და პირობითი სახელებით წარმოგიდგინოთ ისინი, თუმცა ასაკს იდენტურს ვტოვებთ.

ნინო, 16 წლის:

- ორი წელია მეგობრებთან ერთად კლუბში დავდივარ. თავდაპირველად ამას აპროტესტებდნენ ჩემი მშობლები, თუმცა ერთ დღეს ორივეს ავუხსენი, რომ ამ გამუდმებული კითხვებით: „სად ხარ“, „როდის მოხვალ“, „ვისთან ერთად ხარ“ სტრესში მაგდებენ და ჩემი ფსიქიკა ამის გამო მუდმივად დაძაბულია, რის გამოც ვერ ვახდენ გართობასა და სიამოვნებაზე კონცენტრაციას. მართალია, რთულად, მაგრამ შეეგუენ, რომ შეიძლება ღამის სამ საათზე დავბრუნდე სახლში და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რაიმე ცუდი გავაკეთე. თუ ადამიანი აზროვნებს, თუ იცის რა უნდა, თუ აქვს მყარი ფსიქოლოგია, არ წამოეგება არანაირ ანკესს. მინდა ყველა მშობელს

იხ. მე-5 გვ.

შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი გარემოს შესაქმნელად

ნანა აბულაძე 577 20 35 90

რამდენად ადაპტირებულია საჯარო დაწესებულებები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისთვის, აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტებში რამდენად ხელმისაწვდომია გარემო, ითვალისწინებენ თუ არა დამსაქმებლები შშმ პირთა ინტერესებს ვაკანსიის გამოცხადებისას, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და ნებართვის გაცემის პროცესში ხდება თუ არა შშმ პირთა საჭიროებების მოკვლევა და რამდენად მორგებულია პროგრამები მათზე - ეს ის საკითხებია, რომლებზეც აჭარის საკანონმდებლო ორგანოში, შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის შესწავლის თაობაზე თემატური მოკვლევის ფარგლებში, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელეს. მხარეებმა თემატური მოკვლევის პირველად შედეგებზე ისაუბრეს და ამ კუთხით არსებული მდგომარეობა შეაჯამეს

- მინდა მადლობა გადავუხადო ორივე კომიტეტს საკითხის ინიცირებისათვის. ჩვენი სამინისტრო, დასაქმების სააგენტოსთან ერთად, მოკვლევის პროცესში ჩაერთო. სამინისტრო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და ზრდასრულთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ახორციელებს არაერთ პროგრამას. სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გარდა, უწყება გასცემს სხვადასხვა დამხმარე საშუალებებს, რაც ხელს უწყობს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. ვფიქრობ, შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობა მაინც რჩება მთავარ გამოწვევად. სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, გავაგრძელებთ ამ საკითხზე მუშაობას, - აღნიშნა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

> ***„სკოლები, რომლებიც შენდება ან იგეგმება მათი მშენებლობა, აკმაყოფილებს ყველა ნორმას, რაც სამშენებლო კოდექსით მოითხოვება, კერძოდ, ის, რომ ყველა შენობა უნდა იყოს ადაპტირებული, ხელმისაწვდომი. რამდენიმე სკოლა, რომელიც ავაშენეთ, აბსოლუტურად შეესაბამება ამ მოთხოვნებსა და ნორმებს. ბათუმის უკვე 10 სკოლაზე მეტში დამონტაჟებულია ან მიმდინარეობს ლიფტების მონტაჟი***

როგორც უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძემ განაცხადა, მსგავსი ტიპისა და შინაარსის თემატური მოკვლევა უმაღლესი საბჭოს კომიტეტების მიერ პირველად ჩატარდა. მისივე თქმით, ინიციატივის ფარგლებში, ისინი გააგრძელებენ თანამშრომლობას შესაბამის უწყებებთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოამზადებენ და წარადგენენ საკანონმდებლო ინიციატივებს.

- ორმა კომიტეტმა მსგავსი მოკვლევა პირველად ჩავატარეთ, რომლის მიზანია შშმ პირების ჩართულობისა და გარემოზე ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველყოფა. თემატური მოკვლევის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვამზადებთ საკითხს და ამ საკითხის მომზადების და შესწავლის შედეგად გამოვკვეთთ პრობლემებს, იმ მთავარ მიმართულებებს, რომლებიც აუცილებელია შესრულდეს. ამ ყველაფერს მიეცემა რეკომენდაციის სახე და ოფიციალურად გადაეცემა მთავრობას და მუნიციპალიტეტებს შესასრულებლად. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან არის აბსოლუტური მზაობა აღნიშნული საკითხების დროულად და სწრაფად მოგვარებისათვის. პირველივე თემატურ მოკვლევაში ძალიან აქტიურად ჩაერთო თითქმის ყველა სფერო, როგორც მუნიციპალური ხელისუფლება, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო პირები, რაც მისასალმებელია და მადლობას ვუხდი მათ ასეთი აქტიურობისთვის. გავეცანი ყველას მომართვას, რეკომენდაციას და გარწმუნებთ, რომ თითოეული მათგანი ძალიან საინტერესოა, ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება. იმედი მაქვს, ბატონი ცოტნე ანანიძისა და ჩვენი კომიტეტი უახლოეს ერთ კვირაში კარგ რეკომენდაციებს შევიმუშავებთ, საჭიროების შემთხვევაში კი მომზადდება საკანონმდებლო ინიციატივები, - განაცხადა ილია ვერძაძემ.

კითხვაზე, შშმ პირთათვის განათლების მიმართულებით რამდენად ხელმისაწვდომია გარემო, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილე ჯემალ სურმანიძემ განაცხადა, რომ არაერთი საჯარო სკოლის შენობა, რომელიც აშენებულია წინა საუკუნეში, არ არის ადაპტირებული, თუმცა სამინისტროში უკვე დაწყებულია პროცესი სპეციალური საგანმანათლებლო სტატუსის მქონე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველსაყოფად.

- პირველ რიგში, დაიწყო ეტლით მოსარგებლეებისთვის ეტლით ადაპტირება, რაც გულისხმობს პანდუსების, შესაბამისი სველი წერტილების, ლიფტების მოწყობას. სკოლები, რომლებიც შენდება ან იგეგმება მათი მშენებლობა, აკმაყოფილებს ყველა ნორმას, რაც სამშენებლო კოდექსით მოითხოვება, კერძოდ, ის, რომ ყველა შენობა უნდა იყოს ადაპტირებული, ხელმისაწვდომი. რამდენიმე სკოლა, რომელიც ავაშენეთ, აბსოლუტურად შეესაბამება ამ მოთხოვნებსა და ნორმებს. ბათუმის უკვე 10 სკოლაზე მეტში დამონტაჟებულია ან მიმდინარეობს ლიფტების მონტაჟი. რაც შეეხება მაღალმთიან მუნიციპალიტეტებს, მათზე ჩვეულებრივად ვრცელდება სამშენებლო კოდექსი და ის სკოლები, რომლებიც შენდება ამ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, ანუ ლიფტი, სველი წერტილები უნდა იყოს ადაპტირებული. რეაბილიტაციის შემთხვევაში, ჩვენ პანდუსს და შესაბამის სველ წერტილს ვაკეთებთ, ხოლო ლიფტი გასათვალისწინებელია მოსწავლეთა რაოდენობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მაღალმთიან მუნიციპალიტეტში და არამარტო, ხდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება სამინისტროს მიერ, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს აქვთ უპირატესობა და მიუხედავად იმისა, თუ რა მანძილითაა დაშორებული მათი საცხოვრებელი ადგილი სკოლიდან, ხდება მათი ტრანსპორტირება. ნებისმიერ განცხადებას, რომელიც შემოდის მშობლისგან ასეთი საჭიროების შესახებ, სამინისტრო აუცილებლად აკმაყოფილებს. აღსანიშნავია, რომ ქალაქში გვაქვს სამი საჯარო სკოლა, რომელშიც შექმნილია შესაბამისი ჯგუფები სხვადასხვა მიმართულებით. არის ინკლუზიური სწავლება, სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა სწავლება, მხედველობადაქვეითებული მოსწავლეებისთვის სპეციალური სასწავლო კურსები. სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად შევძლოთ და ყველა საგანმანათლებლო საჯარო დაწესებულება ხელმისაწვდომი გავხადოთ შშმ პირებისათვის, - განაცხადა ჯემალ სურმანიძემ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლის დირექტორის დოდო ხახუტაიშვილის თქმით, შეიძლება ითქვას, გლობალური საკითხია შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობა. მისივე თქმით, პირველ რიგში, სკოლების პრეროგატივა უნდა იყოს, აღნიშნული სტატუსის მქონე მოსწავლეები გააძლიეროს ისე, რომ ისინი მზად იყვნენ სკოლის დამთავრების შემდეგ გააგრძელონ ცხოვრება, იცოდნენ თავიანთი უფლებები და არ შეუშინდნენ ბარიერებს, რასაც შეიძლება ყოველდღიურ ცხოვრებაში შეხვდნენ. სკოლის დირექტორმა ცნობიერებაზე, საზოგადოებაში არსებულ სტიგმებსა და იმ შესაძლებლობების არსებობაზე გაამახვილა ყურადღება, რასაც სკოლა უნდა უქმნიდეს თავის შშმ მოსწავლეებს.

- დავიწყებ იმით, რომ სამწუხაროდ, საზოგადოების ცნობიერება აღნიშნული კუთხით არის უაღრესად დაბალი. გულსატკენია ისიც, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ შშმ პირების მიღება თითქმის არ სურს არცერთ სამსახურს, არადა, შეიძლება, რომ ნებისმიერმა სამსახურმა სამომავლოდ ისეთი ვაკანსიები გამოაცხადოს, სადაც ისინი დასაქმდებიან, მოახდენენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და გამოადგებიან როგორც დაწესებულებას, ისე საკუთარ ოჯახს, ექნებათ ანაზღაურება და შემდგარ, სრულფასოვან ადამიანებად იგრძნობენ თავს. ვფიქრობ, სახელმწიფოს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, პირველ რიგში, შრომის კოდექსში უნდა გაჩნდეს სპეციალური მუხლი, რომელიც მოერგება შშმ პირებს და დაწესებულების ხელმძღვანელებს უფლება არ ექნებათ, უარი უთხრან მათ, თუ ისინი შრომისუნარიანები არიან. მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა დააფინანსოს შშმ პირთა განათლება, უზრუნველყოს ისინი საცხოვრებლით, რომ სამომავლოდ, მშობლების გარდაცვალების შემდეგ არ ჰქონდეთ მარტო, ქუჩაში დარჩენის შიში. მათ აუცილებლად უნდა იგრძნონ თავი ღირსეულ და თანასწორ მოქალაქეებად, უნდა მოხდეს მათი სოციალიზაცია. ბევრ მშობელს არ სურს შეიყვანოს ისეთ კლასში შვილი, სადაც ზის შშმ ბავშვი, რაც დაბალ ცნობიერებაზე მიუთითებს. აქვე ჩემს სურვილსაც გავაჟღერებ, რაც თურქეთის ერთ-ერთი სკოლის ნახვის შემდეგ გამიჩნდა. მიმაჩნია, რომ სკოლაში შეიძლება გიმნაზიის ელემენტები შემოვიდეს, სადაც მოსწავლეები და განსაკუთრებით შშმ ბავშვები შეძლებენ შეისწავლონ რაიმე ხელსაქმე, მაგალითად, ქარგვა, ქსოვა, კულინარია და ა.შ. ისინი უნდა მოვამზადოთ ფართო აუდიტორიის წინაშე გასასვლელად, გასაძლიერებლად, - განაცხადა დოდო ხახუტაიშვილმა.

აღნიშნულ შეხვედრაზე მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტლის, „მედცენტრის“ ინტერვენციულმა კარდიოლოგმა, მედიცინის დოქტორმა სოსო სიხარულიძემ მოხსენება წარადგინა თემაზე: „თანამედროვე მიღწევები კარდიოლოგიაში“. აღსანიშნავია, რომ სოსო სიხარულიძის ხელმძღვანელობით, რამდენიმე დღის წინ აჭარაში პირველად ჩატარდა უნიკალური ოპერაცია - TAVI- აორტის სარქვლის შეცვლა გულმკერდის გახსნის გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით, მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ სოსო სიხარულიძეს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ სამინისტრო მიესალმება და მხარს უჭერს ყველა ახალი სერვისის დანერგვას, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

როგორ ერთობიან ახალგაზრდები და რა სურთ მეტი თავისუფლებისათვის?

მე-4 გვერდიდან

ვთხოვო, ნუ ცდილობთ თქვენი ცხოვრების გაგრძელება იყვნენ თქვენი შვილები, მიეცით მათ თვითდამკვიდრების, თვითგამორკვევის საშუალება. შინაგანი თავისუფლებისთვის უფრო მეტი თავისუფლება მსურს და არავის აქვს უფლება, ხელი შემიშალოს საკუთარი თავის ძიებაში.

დათა, 17 წლის:

- მართალი გითხრათ, ბათუმში გართობის „ხელწერა“ სულ ერთნაირია, ვერ ვიტყვი, რომ ამ კუთხით, მით უმეტეს - ზამთარში, რამე საინტერესო ხდება, თუმცა მეგობრები მაინც ვიკრიბებით ამა თუ იმ კაფეში და ვცდილობთ, გავერთოთ, მოვუსმინოთ მუსიკას. ჩვენი შეკრება ძირითადად უქმეებზეა, რადგან სხვა დღეებში ვმუშაობთ. წელს გადავწყვიტეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხე დაგვეთვალიერებინა. სვანეთის და ყაზბეგის მონახულება შევძელით, ასევე - მაღალმთიანი აჭარის. ეს დღეები ჩემთვის ადრენალინივით იყო, განტვირთვა, რომელიც სულ სხვა ემოციებით გავსებს. მართლაც საოცარი ქვეყანა გვაქვს, საოცარი ბუნება. სვანეთის მისტიკურობამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, თუმცა აღვფრთოვანდი მაღალმთიანი აჭარის ველური ბუნებით. მინდა, ყველა ახალგაზრდას ჩვენს ქვეყანაში, ვუსურვო წარმატებები, საკუთარი ქვეყნის უკეთ გაცნობა და ყველა შთაბეჭდილების ფურცელზე გადატანა. „ემოციების სკივრი“ - ასე დავარქვი დღიურს, სადაც ჩემი ცხოვრების საინტერესო წუთებს ვინიშნავ, წლების შემდეგ რომ გადავიკითხო და დავტკბე.

ლანა, 15 წლის:

- მამა მეზღვაურია და დედას აქვს შეთავსებული მისი წილი კონტროლიც - სულ აინტერესებს, როგორ ვარ და ვისთან ერთად. მეუბნება, რომ საღამოს 12 საათზე სახლში უნდა ვიყო. რამდენიმე წუთი თუ გადავაცილე, ეწყება პანიკური შიში - მირეკავს, ურეკავს ყველა ჩემს მეგობარს, ერთი სიტყვით, ძალიან შეზღუდული ვყავარ გართობის კუთხით, არადა, როცა სადღაც მეგობრებთან ერთად ხარ, დრო ისე გადის, ვერც კი ამჩნევ, თუმცა ეს, სამწუხაროდ, ვერ გავაგებინე ჩემს უსაყვარლეს დედას, რომელსაც ხშირად ვაბრაზებ სიტყვებით - „ჩემო ჯალათო“. მესმის მშობლების, თუმცა მათაც უნდა ესმოდეთ ჩვენი, უნდა გვენდობოდნენ. ორი თვის წინ კლუბში ჩემი დაქალი მოიწამლა სასმელით, იმის შემდეგ საერთოდ აღარ უნდა ჩემი გაშვება, ეჭვობს, რომ მან კლუბური აბები მიიღო, ვერაფრით დავაჯერე, რომ, უბრალოდ, მოიწამლა და მეტი არაფერი.

ნანა, 25 წლის:

- განტვირთვისთვის, ძრითადად, კაფე-ბარებს ვსტუმრობ, არის ბათუმში რამდენიმე სივრცე, სადაც მიხვალ და კარგ, ცოცხალ მუსიკას მოუსმენ. რესტორნული, მამა-პაპური გართობა არ მხიბლავს, დავდივარ იქ, სადაც მშვიდად ვისაუბრებ, მეგობრებთან ერთად კვირის ამბებს განვიხილავ და მუსიკას მოვუსმენ. ვისურვებ, რომ ახალგაზრდებისთვის იყოს სალონური სივრცე ბათუმში, სადაც შეეძლებათ გააკეთონ გამოფენები, მოაწყონ პოეზიის საღამოები, დაგეგმონ შემეცნებითი აქტივობები, წიგნის განხილვები, მუსიკის კონკრეტული ჟანრის დღეები, ბევრი საინტერესო რამის მოფიქრება შეიძლება. ახალგაზრდებს ჩვენს ქალაქში უნდა ჰქონდეთ სივრცეები, სადაც უსასყიდლოდ შეეძლებათ ნიჭის გამომზეურება.

გიორგი, 19 წლის:

- ჩემთვის გართობა ლაშქრობასთან ასოცირდება, ექსტრემალურ სიტუაციებთან, რაც ხშირად საფრთხისშემცველია, თუმცა შეუდარებელია მისგან მოგვრილი ემოციები. 15 წლის და მყავს, რომელიც მეგობრებთან ერთად ხშირად დადის სხვადასხვა გასართობ სივრცეში. ვერ ვიტყვი, რომ მშვიდად ვარ, როცა გვიანია უკვე და სახლში არ არის, მაგრამ ვიცი, სად არის და რა სიტუაციაში, თავს არ ვაძლევ უფლებას, ზედმეტად გავაკონტროლო. ყველა ადამიანს აქვს თავისი პირადი სივრცე, რისი გადალახვის უფლებაც არ გვაქვს, და იქნება ის, ძმა თუ ნებისმიერი ახლობელი.

როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, თუ გვსურს ჩვენი შვილები რეალიზებული და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ადამიანები იყვნენ, უნდა მოვუსმინოთ მათ და მივცეთ უფლება, იყვნენ ინდივიდუალურები, თავისუფლები საკუთარ არჩევანში - გართობა იქნება ეს თუ ცხოვრების წესი.

მზია გოგაძემ დამსახურებული მასწავლებლის ჯილდო მიიღო

ალექსანდრე მიქელაძე, ქსენია ღონღაძე, ლევან ტაკიძე, მანანა ზოსიძე, ციური ზოიძე შუახევის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებლებად ითვლებოდნენ. სკოლის კარგი ხელმძღვანელის სახელი დატოვეს ლენა დუნდუამ, ანზორ დავითაძემ, ზურაბ ზოიძემ. წლების შემდეგ, ულამაზეს და შორეულ სოფელ გოგაძეებში დაბადებულმა მზია გოგაძემ სკოლის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის წინაშე არსებულ გამოწვევებს, მუშაობას ალღო აუღო და მომავალი თაობის აღზრდის საპატიო საქმეს შეჭიდებული, შუახევის რაიონის ისტორიაში სკოლის პირველ დირექტორი გახდა, რომელმაც დამსახურებული მასწავლებლის ჯილდო მიიღო

უფროსი თაობის პედაგოგებს ახსოვთ, რომ შუახეველი პედაგოგებიდან საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება პირველად ცინარეთელ ვახტანგ კეჟერაძესა და სამოლეთელ ფადიმე გამრეკელიძეს ერგოთ. მომდევნო 20 წლის განმავლობაში კიდევ რამდენიმე პედაგოგმა მოიპოვა ეს წოდება.

დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესმა საბჭომ, ხელისუფლებამ განათლების სისტემის მესვეურებმა მრავალი სხვა ტრადიციის მსგავსად, საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდებასაც «წითელი ბარათი» აჩვენა. ქვეყნის ახლანდელი ხელმძღვანელობის დამსახურებას უნდა მიეწეროს პედაგოგთა უმაღლესი წოდების აღდგენა.

მასწავლებელთა წლევანდელი კვირეულის დღეებში შუახევში გამართულ საჯარო და კერძო სკოლების ხელმძღვანელების, მენტორი და წამყვანი მასწავლებლების საზეიმო შეკრებას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილიც ესწრებოდა. ყველასთვის მოულოდნელი იყო, როცა ქალბატონმა მაიამ შუახევის საშუალო სკოლის დირექტორისთვის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების ბრძანება წაიკითხა.

- ეს წოდება 3 ათეული წლის განმავლობაში პედაგოგებს აღარ ენიჭებოდათ. მისასალმებელია, რომ აჭარის მთიანეთის სკოლების პედაგოგთაგან საპატიო აღიარება წილად ხვდა მზია გოგაძეს. მისი საქმე და სახელი განათლების სისტემის ხელმძღვანელობისთვის კარგადაა ცნობილი, - თქვა მინისტრმა.

მზია გოგაძე მრავალი წელია, პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. 18 წლის იყო, როცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გოგაძეების საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნა.

- იმ ხანად გოგაძეების საშუალო სკოლა მოსწავლეთა კონტინგენტითა და კვალიფიციური პედაგოგებით ძლიერ სასწავლო კერად ითვლებოდა. ყველასთვის და ჩემთვისაც დიდი პატივი იყო მუხამედ ბათაძესთან, შოთა ჯიბლაძესთან, თენგიზ ბეჟანიძესთან, თამარ კახიძესთან, გულვარდ თურმანიძესთან ერთად მუშაობა. დაწყებითი კლასებიდან მოყოლებული, ისინი ქართულ ენას, ქართულ მწერლობას გამორჩეულად მაყვარებდნენ. მუხამედ მასწავლებლის დამსახურებად მიმაჩნია, რომ წარჩინებულმა მოსწავლემ პედაგოგის პროფესია ავირჩიე. არჩევანით კმაყოფილი ვარ, - გვითხრა მზია გოგაძემ.

ოლადაური იმ სოფლების ჩამონათვალშია, საიდანაც დაიწყო დედასამშობლოსთან დაბრუნებულ აჭარაში ქართული სკოლების აღდგენა. მზიას პატივი ერგო, გარკვეულ პერიოდში ამ საგანმანათლებლო კერის დირექტორი ყოფილიყო. მან ღირსეულად გააგრძელა სახელოვანი გზა ისეთი პიროვნებებისა, როგორებიც იყვნენ სოლომონ, ვახტანგ, ვაჟა მაკარაძეები, ვლადიმერ მიქელაძე, შოთა ქარცივაძე და საქმისმოყვარე ხელმძღვანელის, ნოვატორი პედაგოგის სახელი დაიმკვიდრა.

ოლადაურის სკოლიდან წამოსვლის მიზეზი ახლად გახსნილი საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობის დაწყება გახდა. მზიას მსგავსად, შუახევის და არა მარტო შუახევის, ხულოს, ქედის სკოლებიდანაც ერგოთ პატივი წარმატებულ პედაგოგებს, სასწავლო პროცესი ამ კერაში წარემართათ. იყო სასწავლო წელი, როცა დამამთავრებელ მეთორმეტე კლასში 200-250 მოსწავლე ჰყავდათ. ქობულეთის, ქალაქ ბათუმის, ქედის, ხულოს სკოლებიდან უფროსკლასელები აქ აგრძელებდნენ სწავლას. მზია გოგაძის, ნუგზარ ზოსიძის, რამინ შავაძის, ლია ქამადაძის, თალიკო მიქელაძის, აწ გარდაცვლილი მერი დიასამიძის საქმიანობა მოსწავლეების მიერ ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული შედეგებით ფასდებოდა. კურსდამთავრებულების 85-95 პროცენტი პირველსავე წელს ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი ხდებოდა. მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი, ექიმი, იურისტი, პედაგოგი კეთილად იგონებს მზია გოგაძის გაკვეთილებს. ქედელი ნუკრი დუმბაძე პოეზიას რომ ეტრფის, კინორეჟისორობისკენ რომ ისწრაფვის, მზიასა და მისი კოლეგების დამსახურებად ითვლება. ნუკრის მსგავსნი კი მრავლად არიან, რომლებისგან მზია მასწავლებელი მოლოცვებს ღებულობს. მას საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდებაც გულწრფელად მიულოცეს.

შუახევის საშუალო, ამჯერად საჯარო სკოლას, რომელიც ამ სტატუსით თითქმის 65 წელია არსებობს, ჰყავდა ქართული ენისა და ლიტერატურის წარმატებული მასწავლებლები, თუმცა 21-ე საუკუნის დასაწყისში, თაობათა ცვლის პროცესში, ეს სკოლა ყველაზე მეტად დაზარალდა. სკოლის დირექტორებიც მალ-მალე იცვლებოდნენ. ზოგს სამსახურიდან უშვებდნენ, სხვებიც პენსიაზე მიდიოდნენ. მზია გოგაძემ 6 წელი გაატარა დირექტორის თანამდებობაზე, თანაც ისე, რომ მომჩივანი და მომდურავი არავინ ჰყოლია.

დაბის სკოლის მოსწავლეები ერთ ხანს ხიჭაურის სკოლაში გადავიდნენ, რომ წარმატებულ პედაგოგებთან ესწავლათ. მზიას სკოლის დირექტორად მოსვლის, აქ ახალგაზრდა, ნოვატორი პედაგოგების დასაქმების შემდეგ, ეს პროცესი შენელდა. კურსდამთავრებულები ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგს აღწევენ. სკოლა უკვე შესამჩნევ წარმატეტებს აღწევს.

მზია გოგაძე პროფესიული საქმიანობის პარალელურად, ფიზიკურ შრომასაც არ თაკილობს. მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების საერთაშორისო პროგრამა «იფადი» პროექტებს რომ ახორციელებდა, იგი მაშინ გოგაძეებში ცხოვრობდა. ძმასთან და დედასთან ერთად ამ პროგრამაში ჩაერთო და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, კარტოფილის უხვი მოსავალი მიიღო. მის მეთოდს ახლა მრავალი ფერმერი იყენებს.

სკოლის დირექტორი, წარმატებული პედაგოგი აქტიურადაა ჩართული «სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერების» პროგრამაში, რომლის გრანტიც მოიპოვა. დაბაში შეძენილი საცხოვრებელი სახლის ნაწილი საოჯახო სასტუმროდ გადააკეთა, ეზო კეთილმოაწყო. მზია გოგაძეებში, ასევე, მეუღლის, თემურ ფუტკარაძის სოფელ ოლადაურში მიმდინარე პროცესების ეპიცენტრშია.

დაბა შუახევის საჯარო სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს 16 კურსდამთავრებული გამოემშვიდობება, მათ შორის, მზია გოგაძის შვილი, თემური, რომელიც მე-12 კლასის მოსწავლეა. აქ სასწავლო პროცესს მიზნობრივად წარმართავენ ინეზა ზოიძე, ლია ქამადაძე, ივერი მუკუტაძე, ცირა სოლომონიძე, ჯონი გოგიტიძე, მადონა, ნანული დავითაძეები.მალე სკოლის შენობა ხარაჩოებს ჩამოიხსნის.

- ქალბატონ მზიას და მე ერთად გვიხდებოდა მუშაობა ხიჭაურის სკოლაში. მისი მიზანსწრაფვა, ძიება, ხარისხიანი გაკვეთილები ყოველთვის საინტერესო, მოტივირებული იყო. თითოეული შუახეველი პედაგოგისთვის პატივია, რომ კოლეგას ასე დაუფასეს პედაგოგიურ სარბიელზე გაწეული ამაგი. ამ წოდებას კიდევ მრავალი მასწავლებელი იმსახურებს და მათაც გავუწევთ რეკომენდაციას ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე, - გვითხრა შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ.

ინტელექტუალები ერთმანეთს გაეჯიბრნენ

შუახევისა და ხულოს საჯარო სკოლების 30-ზე მეტი გუნდი მონაწილეობდა ინტელექტუალურ თამაშში, რომელიც შუახევში ჩატარდა. ღონისძიება «ლიბერთი» ბანკმა დააფინანსა

შეჯიბრების დაწყების წინ გუნდების წარმომადგენლებს სიტყვით მიმართეს შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ, «ლიბერთი» ბანკის სათაო ოფისის საგანმანათლებლო პროექტის ხელმძღვანელებმა ნინო ბუჯიაშვილმა, ნინო გვასალიამ, აჭარის რეგიონული ბანკის დირექტორის მოადგილე თეონა შაქარიშვილმა, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძემ.

ღონისძიების წამყვანმა ზვიად ფუტკარაძემ მოთამაშეებს 27 კითხვა დაუსვა. 13 კითხვას პასუხი გასცეს და პირველ ადგილზე გავიდნენ შუბნის საჯარო სკოლის გუნდის წევრები, ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს ნიგაზეულის, ძირკვაძეების, დღვანის საჯარო სკოლების გუნდებმა. მათი მონაგარი 11-11 ქულა იყო. ბლიცში სამივე გუნდს შორის გამართულ შეჯიბრებაში ნიგაზეულის გუნდმა დამაკმაყოფილებელი პასუხებით მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილი ძირკვაძეების (ხულოს მუნიციპალიტეტის) საჯარო სკოლის პედაგოგების გუნდს ერგო. თითოეულ გუნდს 6 ძირითადი და 2 სათადარიგო მოთამაშე წარმოადგენდა.

თამაში ორგანიზებულად წარიმართა. ნინო ბუჯიაშვილს დაებადა აზრი, რომ «ლიბერთი» ბანკს გამარჯვებული გუნდის წევრების საქართველოს ტერიტორიაზე ორდღიანი ექსკურსია დაეფინანსებინა. ეს პატივი შუბნელ პედაგოგებს ერგოთ.

გამარჯვებული გუნდების მოთამაშეები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. მათ ჯილდოები ღონისძიების ორგანიზატორებმა და რესურსცენტრის ხელმძღვანელებმა გადასცეს.

- შუახევთან, «ლიბერთი» ბანკის მუშაკებთან, წლებია საქმიანი ურთიერთობები მაკავშირებს. ჩვენთვისაც მისასალმებელია, რომ ამ ბანკის მენეჯერი გიორგი კეკელიძე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. შუახევი დოტაციური მუნიციპალიტეტია. ჩვენი ბანკისთვის პედაგოგები ყველაზე მნიშვნელოვანი სეგმენტია. წლების წინ, როცა განათლების მიმართულების კოორდინატორად მუშაობა დავიწყე, ბანკი ვერ პასუხობდა თანამედროვე გამოწვევებს. მაშინ გავითავისეთ ის ნდობა, რომელიც მუნიციპალიტეტის სკოლებმა ჩვენს მიმართ გამოხატეს. სკოლა ყველაზე პრიორიტეტული მომხმარებელია ჩვენთვის. ამიტომ ყოველთვის ვცდილობთ საქმეში, წამოწყებაში გვერდით დავუდგეთ. დღეს პედაგოგების ნაწილს გული გავუხარეთ. მომავალშიც ასე იქნება, ჩვენგან თანადგომა მათ არ მოაკლდებათ, - გვითხრა «ლიბერთი» ბანკის სათაო ოფისის საგანმანათლებლო პროექტის ხელმძღვანელმა ნინო ბუჯიაშვილმა.

კომენტარი გამარჯვებული გუნდის წევრს, პედაგოგს, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ მელანო ებრალიძესაც ვთხოვეთ: «თამაშის მიმდინარეობისას ლიდერის პოზიციაზე ვიყავით და ეს უპირატესობა ბოლომდე შევინარჩუნეთ. ჩემთან ერთად გუნდის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ტარიელ ფუტკარაძემ, ემზარ, მზიური ჯუმუშაძეებმა, ზვიად, სოფიკო სურმანიძეებმა. მალე ექსკურსიასაც მოვაწყობთ. ასეთი მოტივაცია ჩვენს მუშაობას მეტ სტიმულს აძლევს», - გვითხრა მელანომ.

მეორე ადგილზე გასული ნიგაზეულის გუნდის წარმატებაში დიდი როლი ითამაშა ვეტერანმა პედაგოგმა ვასო ხიმშიაშვილმა.

ინტელექტუალური თამაში მალე სკოლების მოსწავლეებს შორის ჩატარდება.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის

შუახევის მუნიციპალიტეტის დაბაძველის საჯარო სკოლის პედაგოგი გუგული სურმანიძე მარტოობაში ზრდის შვილებს, რომელთაგან ერთი შეზღუდული შესაძლებლობისაა. იგივე ითქმის ფურტიოელ მზევინარ ხილაძეზე იმ განსხვავებით, რომ მზევინარს მეუღლეც გვერდით უდგას. მათ მსგავსად შუახევის მუნიციპალიტეტში ათეულობით ქალია, რომლებიც რთული ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ოჯახს ამაგრებენ, ქართველი ქალის ღირსებას იცავენ.

რამდენიმე წელია ქვეყანაში სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღეს შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა შეკრება გამართეს. მოპატიჟებულ წარმატებულ ქალებს დღესასწაული მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე მირიან აბაშიძემ, მერის მოადგილეებმა გურამ ზოიძემ, რუსუდან შავაძემ, ჟურნალისტმა ოთარ ცინარიძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ, შუახევის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელმა ფატი ჭაღალიძემ, ქალთა ოთახის ხელმძღვანელმა თამილა ფუტკარაძემ.

პენსიონერმა, დაბაძველელმა ფატი შარაშიძემ, დღის ცენტრის წარმომადგენელმა ნატო დარჩიძემ, ფურტიოელმა მაყვალა მიქელაძემ სოფლად მცხოვრები ქალების პრობლემებზე, მათი დაძლევის გზებზე ისაუბრეს. შეკრების ორგანიზატორებმა ფატი ჭაღალიძემ და თამილა ფუტკარაძემ მათ სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

- შუახევში სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის მრავალი პროგრამა და პროექტი მოქმედებს, რომელთა მეშვეობით არაერთ ოჯახში ეკონომიკური წინსვლა იგრძნობა, თუმცა რიგი საკითხები კვლავ მოსაწესრიგებელია, რისთვისაც ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობა, ადგილობრივი თვითმმართველობა მიზანმიმართულ მუშაობას ეწევა, - გვითხრა მირიან აბაშიძემ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ბსუ-ის ინფორმაციით...

გერმანიის მასპინძლობის საერთაშორისო ინსტიტუტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ირაკლი კორძაია და სასწავლო პროცესის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ტურიზმის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მერაბ დიასამიძე გერმანიაში იმყოფებოდნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვიზიტი მიზნად ისახავდა ტურიზმის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების გერმანიის ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებში საწარმოო პრაქტიკის პირობების გაცნობას, არსებულ და პერსპექტიულ პარტნიორებთან შეხვედრებს, მომავალი ურთიერთობების გაღრმავებას, თანამშრომლობას და აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის გერმანიაში საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის ახალი პარტნიორების მოძიებას.

ბსუ-ის ცნობით, ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა მეკლენბურგ-შვერინის თავისუფალი მიწის სახელმწიფო პარლამენტში და სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, სადაც დელეგაციის წევრები მეკლენბურგის მიწაზე არსებულ პოტენციალს გაეცნენ, ასევე შედგა საუბარი მომავალი თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობებზე.

გერმანიაში ვიზიტის შედეგად გადაწყდა, რომ, ბსუ-ის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების მსგავსად, საწარმოო პრაქტიკას გერმანიაში აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებიც გაივლიან.

ამირან ბურიელიძე

უკრაინა

დონბასში მთავარი ცხელი წერტილებია სოლედარი და ბახმუტი, სადაც ძალიან მძიმე ბრძოლები გრძელდება, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ტრადიციულ ვიდეომიმართვაში განაცხადა. „ოკუპანტებმა ჩვენი ძალების წინააღმდეგ გადაისროლეს ყველა, ვინც შეეძლოთ, მათ შორის 2 000 პატიმარი. ისინი სწორედ იქ არიან - დაქირავებულთა შორის. ესენი არიან მძიმე დანაშაულებისთვის მსჯავრდებულები, რომლებსაც ხანგრძლივი პატიმრობა აქვთ მისჯილი. ფრონტზე არა მარტო ფულით, არამედ ამნისტიის დაპირებითაც რჩებიან“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, „ასე აფინანსებს რუსული სახელმწიფო ტეროორს - ეძებს მკვლელებს ციხეებში და ჰპირდება თავისუფლებას, თუ კიდევ მოკლავენ. მსოფლიოში ვინმეს ჯერ კიდევ აქვს ეჭვი, უნდა გამოცხადდეს თუ არა რუსეთი ტეროორისტულ სახელმწიფოდ? არა მგონია“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

რუსული ძალები მიკოლაივს ირანული ე. წ. კამიკაძე-დრონებით დაესხნენ თავს, რის შედეგადაც სამრეწველო ინფრასტრუქტურის ობიექტები და ფარმაცევტული საწყობი დაზიანდა, - ინფორმაციას ოპერატიული სარდლობა „სამხრეთი“ ავრცელებს. მათივე ცნობით, რუსებმა მიკოლაივს Shahed-136 დრონებით შეუტიეს. უკრაინელებმა ათი დრონი ჩამოაგდეს. „საოლქო ცენტრში სამმა დრონმა სამრეწველო ინფრასტრუქტურის ობიექტებს და ფარმაცევტულ საწყობს დაარტყა. შემთხვევის ადგილზე მაშველები ხანძარს ებრძვიან“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. წინასწარი მონაცემებით, თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა. მოგვიანებით, მიკოლაევის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვიტალი კიმმა განაცხადა, რომ ხანძარი ლოკალიზებულია.

* * *

ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრები ევროკავშირსა და მის საერთაშორისო პარტნიორებს მოუწოდებენ, უკრაინას სპეციალური ტრიბუნალის შექმნაში დაეხმარონ, რომელიც აგრესიის დანაშაულებს გამოიძიებს და უკრაინის წინააღმდეგ აგრესიისთვის რუსეთის ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს. მათივე შეფასებით, უკრაინაში სახლებზე, სკოლებზე, სათამაშო მოედნებსა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე ბოლოდროინდელი მიზანმიმართული თავდასხმა უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ რუსეთის არაპროვოცირებული ტეროორის კამპანიის უახლესი ეპიზოდია. „ევროკავშირმა უნდა იმოქმედოს, რომ უკრაინაში რუსეთის მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულებისთვის სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის ძიება ჩვენი პოლიტიკის ცენტრში იყოს“, - აღნიშნულია განცხადებაში. „აუცილებელია სპეციალური ტრიბუნალის შექმნა, რათა ეს იურიდიული ხარვეზი აღმოიფხვრას. ევროკავშირი და ჩვენი პარტნიორები ამ ძალისხმევის ცენტრში უნდა იდგნენ. სპეციალური ტრიბუნალის შექმნა შეავსებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს როლს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დასჯის პირებს ომის დანაშაულებისთვის, გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის, სპეციალური ტრიბუნალის მთავარი პასუხისმგებლობა კი აგრესიის დანაშაული იქნება. ამ მკვლელი აგრესიის ფარული ხელმძღვანელები, წამქეზებლები და ფასილიტატორები ვერ უნდა გაექცნენ მართლმსაჯულებას უბრალოდ იმიტომ, რომ საერთაშორისო იურისდიქციაში ხარვეზი არსებობს“, - აცხადებენ ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.

* * *

ევროპაში აშშ-ის არმიის ყოფილი სარდალი ბენ ჰოჯესი აცხადებს, რომ ყირიმი ზაფხულისთვის თავისუფალი იქნება. „როდესაც სიტუაციას ვაკვირდები, ვხედავ, რომ რუსების მდგომარეობა ყოველ კვირას უარესდება. ამბობენ, რომ ომი ნებისყოფისა და ლოგისტიკის გამოცდაა და ორივე თვალსაზრისით უკრაინა ბევრად უკეთესია“, - განაცხადა ჰოჯესმა გერმანულ გამოცემა FAZ-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. მისი თქმით, აუცილებელია, რუსებმა ომი წააგონ, წინააღდეგ შემთხვევაში ისინი „ისევ შეეცდებიან ამას ორ-სამ წელიწადში“. ბენ ჰოჯესის მტკიცებით, რუსეთის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ კიევისადმი დასავლეთის მხარდაჭერის შემცირდება. „ასე რომ, ისინი ყველაფერს აკეთებენ ომის გასახანგრძლივებლად და დასავლეთში შიშისა და დაუცველობის გასავრცელებლად. ნებისმიერ საშუალებას გამოიყენებენ, მათ შორის ახალგაზრდებს, რომლებსაც საზარბაზნე ხორცად იწვევენ, ასევე თავდასხმებს დასავლეთის ინფრასტრუქტურაზე“, - აცხადებს ჰოჯესი. მისი თქმით, უახლოეს კვირებსა და თვეებში მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი დივერსიული აქტი და თავდასხმა.

* * *

ნატო დე ფაქტო ჩართულია უკრაინის კონფლიქტში, მაგრამ ეს არანაირად არ მოქმედებს რუსეთის მიზნებზე, - ამის შესახებ კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა რუსულ მედიასთან საუბარში განაცხადა. მისი თქმით, ოპერაცია გაგრძელდება და მას ბოლომდე მიიყვანენ. კითხვაზე, რამდენად ართულებს სიტუაციას რუსეთისთვის ალიანსის ჩართვა, კრემლის პრესსპიკერმა უპასუხა, რომ „მნიშვნელოვნად რთულია“. „როგორც ჩანს, ეს გვაიძულებს ჩვენი ეკონომიკური და სხვა ძალების მობილიზებას. კიევის რეჟიმი ერთია, ნატოს პოტენციალი კი სხვა. ეს ნიშნავს დამატებით ტვირთს, თუმცა ჩვენი პოტენციალი გვაძლევს შესაძლებლობას, გავაგრძელოთ ოპერაცია ამ სიტუაციაში“, - აღნიშნა პესკოვმა.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

ბექა დიასამიძე: ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები არათუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა...

მე-3 გვერდიდან

- ხელისუფლებას რომ სურდეს ნატოში ან ევროსტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანება, შესაბამის ნაბიჯებს გადადგამდა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, პირიქით მოქმედებს - აკავებს ოპოზიციურად განწყობილი მედიამენეჯერს, იღებს მოსმენების კანონს და სხვა, რაც ევროკავშირს გვაშორებს და არ გვაახლოებს. გამოსავალი ერთია - ყველა ოპოზიციური პარტიის გაერთიანება და ხელისუფლების იძულება, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები. გახსოვთ, ამ მთავრობას ევროკავშირის წევრობაზე განცხადების მიღება არ სურდა, მაგრამ საზოგადოების აქტიურობამ და საერთო ინტერესმა აიძულა ამ ნაბიჯის გადადგმა. იგივე უნდა გავიმეოროთ ამ შემთხვევაშიც. იმისათვის, რომ ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილი გავხდეთ, საჭიროა ბრძოლა და ახლა ხელების ჩამოშვება არ ღირს. 30 წლის წინ დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

რკ „აგრო სამების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 445531684, რეგისტრირებული 24/04/2018 წ.) წევრთა/მეპაიეთა საყურადღებოდ!

2022 წლის 24 ნოემბერს, 15:00 საათზე, გაიმართება რკ „აგრო სამების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 445531684, რეგისტრირებული 24/04/2018 წ.) წევრთა/მეპაიეთა რიგგარეშე საერთო კრება შემდეგი

დღის წესრიგით:

1. გამგეობის თავმჯდომარის ზვიად სურმანიძის თანამდებობიდან გათავისუფლება; გამგეობის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა, გამგეობის წევრთა არჩევა/უფლებამოსილების ვადის გაგრძელება, გამგეობის თავმჯდომარის არჩევა;
2. წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
3. ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონული მისამართის) მართვა;
4. საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ (მიღებული 04.08.2021 წ.) მოთხოვნებთან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ერთობის“ სარეგისტრაციო მონაცემების შესაბამისობაში მოყვანისათვის სადამფუძნებლო შეთანხმების კონსოლიდირებული ტექსტის დამტკიცება.

წევრთა/მეპაიეთა საერთო კრება ჩატარდება მისამართზე: ქალაქი ბათუმი, რევაზ კომახიძის ქუჩა №10/12, ნოტარიუს ნინო ბადაგაძის სანოტარო ბიურო. წევრები/მეპაიეები კრებაში მონაწილეობას მიიღებენ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით (წარმომადგენლობის შემთხვევაში - ასევე სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით).

რკ „აგრო სამების“ გამგეობა

გახსენება

მეგობარ ნინო ლომთათიძის ნათელ ხსოვნას!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 61 წლის ასაკში, ღირსეული აღმზრდელი და პროფესიონალი ნინო ლომთათიძე დაკარგა.

ნინო იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, 3 სახელმძღვანელოს, 90-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ნინო ლომთათიძე დაიბადა 1961 წლის 1 ივნისს. მან 1977 წ. დაამთავრა ბათუმის პირველი საშუალო სკოლა, ხოლო 1978-1983 წწ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ბიოლოგიის სპეციალობით.

1986-996 წლებში ნ. ლომთათიძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ამავე პერიოდში გაიარა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ასპირანტურის კურსი, 1995 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1996 წელს ნინო ლომთათიძემ მუშაობა დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სიცოცხლის ბოლომდე აქ ემსახურებოდა ახალგაზრდების აღზრდის ღირსეულ საქმეს. თავდაპირველად, დაინიშნა სამედიცინო ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო 1997 წლიდან ის იყო ბიოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, 2007-2009 წწ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2009 წლიდან დღემდე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ნინოს სამეცნიერო საქმიანობა მუდამ დაკავშირებული იყო გარემოს დაცვის პრობლემატიკასთან, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. ის ბევრს, აქტიურად, შეუპოვრად მუშაობდა ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი განათლების ამაღლებისთვის, ამ მიმართულებით ყოველთვის პირველი იყო სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვასა თუ ჩატარებაში, მიჰყავდა სასწავლო და პრაქტიკული კურსები გამოყენებითი ეკოლოგიის, გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგის, ეკოლოგიური სამართლის და სხვა მიმართულებით.

ამ უნარებთან ერთად მას ჰქონდა უანგარო, ხალასი, თბილი, იუმორით სავსე, განსაკუთრებული ურთიერთობა სტუდენტებთან, იყო მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ამასთან, ნინო ავლენდა მაღალ კვალიფიკაციას, პროფესიონალიზმს, იყო უაღრესად კომპეტენტური და კრეატიული, საოცრად შრომისმოყვარე, ენერგიული ადამიანი. არ არსებობდა გამოწვევა თუ პრობლემა, რასაც თავს საუკეთესოდ ვერ გაართმევდა. გამოირჩეოდა პრინციპულობითა და ძლიერი ხასიათით...

მიუხედავად ამისა, ნინოს გაუჭირდა ვერაგ დაავადებასთან გამკლავება.

ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, უნივერსიტეტს.

მშვიდობით, ჩვენო მეგობარო! შენი ხსოვნა მარად დარჩება თითოეული ჩვენგანის გულში.

კურთხეულ ჰყოს უფალმა შენი სამარადისო განსასვენებელი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის
დეპარტამენტის სახელით,
პროფესორი დავით ბარათაშვილი,
ასოცირებული პროფესორი ბუბული დუმბაძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემლობა რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზელი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 17/10/22, 20 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„დედა კურაჟი“ – ომის სისასტიკე და ადამიანური ტრაგედიები

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში 144-ე თეატრალური სეზონი სპექტაკლის პრემიერით „დედა კურაჟი“ გაიხსნა. რეჟისორმა გაგა გოშაძემ მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი დრამატურგიული ნაწარმოები აირჩია, რომელიც ომსა და მის სისასტიკეზე გვიყვება

თუ როგორ ცლის ის ადამიანებს ადამიანური ემოციებისგან, აშიშვლებს მათ რეალურ სახეს და გვაჩვენებს, რომ ომში თვითგადარჩენის სურვილმა შესაძლოა, ყველაზე მოწვეულ ემოციებს, სვამს შეკითხვას - სად გადის ზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელს შორის.

- პიესაში ასეთი ფრაზაა: ომი აკმაყოფილებს მშვიდობიან მოთხოვნილებებსაც კი. თუნდაც ის რად ღირს, რომ ჩვენ „ფარდულის უკან ვმრავლდებით“ გაგანია დაბომბვისასაც კი და შემდეგ ომი ეპატრონება ჩვენს ნაშიერს და მათი საშუალებით აგრძელებს არსებობას... როდესაც ომით იკვებები, თავადაც კვებავ ომს, ოღონდ ძალიან ძვირი გიჯდება, შენ სიცოცხლით კვებავ ომს, ომი სიცოცხლით იკვებება. ის, რომ ჩემი დადგმული სპექტაკლით გაიხსნა ახალი თეატრალური სეზონი, რა თქმა უნდა, საპასუხისმგებლოა ჩემთვის. მინდა მადლობა გადავუხადო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ნუკრი ქანთარიას, ასევე, ბატონ ანდრო ენუქიძეს, რომლის ხელმძღვანელობის დროსაც დავიწყე პროექტზე მუშაობა. ბათუმის დრამატული თეატრის დასთან მუშაობა ახალი არ არის ჩემთვის და შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. კიდევ ერთხელ მადლობა თითოეულ მსახიობს გაწეული შრომისათვის. აქვე მინდა სცენაზე საოცარი ატმოსფეროსა და საოცარი კოსტიუმების შექმნისთვის მადლობა გადავუხადო სცენოგრაფ გოგლა გოგიბერიძეს, არაჩვეულებრივი მუსიკა დაწერა მიშა მდინარაძემ, გვერდით დაგვიდგა ქორეოგრაფი კოტე ფურცელაძე, ყველას, ყველას - დიდი მადლობა... რა თქმა უნდა, მაყურებელს, რომლის შეფასების გარეშე აზრი არ ექნებოდა ჩვენს შრომას, - თქვა ჩვენთან საუბარში რეჟისორმა გაგა გოშაძემ.

საშინელი რამეც კი ჩაგადენინოს, მაგალითად, ისეთი, როგორიც შვილის სიცოცხლის გადასარჩენ თანხაზე შევაჭრებაა.

სპექტაკლის მთავარი გმირი დედა კურაჟია, წვრილმანებით მოვაჭრე ქალი ანა ფირლინგი, რომელიც მომთაბარე ცხოვრებას ეწევა და სამ შვილთან ერთად ძველი ფურგონით გადაადგილდება. ქალისთვის ერთადერთი შემოსავლის წყარო ომია, რომლის დროსაც სხვადასხვა ნივთს თუ პროდუქტს შედარებით მაღალ ფასად ყიდის და ასე ირჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ იცის, შესაძლოა, ომმა წაართვას ყველაზე ძვირფასი - შვილები, მას თითქოს ეშინია კიდეც მშვიდობის, არ სურს ომის დამთავრება. ფიქრობს, რომ მშვიდობა გააკოტრებს და ვეღარ ივაჭრებს, რაც მისთვის საყვარელი საქმეა. სამწუხაროდ, ომი სამივე შვილს წაართმევს დედა კურაჟს, თუმცა ის მაინც განაგრძობს ვაჭრობას. შესაძლოა, ეს თვითგადარჩენის ინსტინქტია, ან მარტოობის შიში, ან შვილების დაკარგვით გამოწვეული ტკივილის დაფარვის მცდელობა, თუმცა ფაქტი ერთია: ომით გამდიდრების დაუოკებელი სურვილი კრახით, და მეტიც - სავალალოდ სრულდება დედა კურაჟისთვის.

დედა კურაჟის როლი მსახიობმა მარინა ბურდულმა ჩვეული ოსტატობით შეასრულა და მაყურებლის მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მისთვის ძალიან რთული იყო როლში შესვლა და იმ ტკივილების გათავისება, რაც ომში მყოფ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, იმის გააზრება, რომ ომს და თვითგადარჩენის ინსტინქტს შეუძლია, ყველაფერი ჩაგადენინოს, რასაც მანამდე ვერასოდეს წარმოიდგენდი, ვერ წარმოიდგენდი, რომ დედას, რომელსაც შვილის სიცოცხლის სანაცვლოდ გარკვეული თანხის გადახდას თხოვენ, შევაჭრებას იწყებს.

- პერსონაჟი, რომელსაც სპექტაკლში ვთამაშობ, ყველაზე მეტად მეცოდება. ომმა შეიძლება გაქციოს ისეთ ადამიანად, რომელიც მზად არის, ივაჭროს შვილის სიცოცხლეზე. ომმა შეიძლება დაგავიწყოს, რომ ქალი ხარ, დედა ხარ და, საერთოდ, ადამიანი ხარ. ომმა შეიძლება ყველაფერი წაგართვას, ოღონდ ამაზე პასუხს არავინ და ვერავინ გაგცემს. ფიზიკური სიკვდილი, ვფიქრობ, უფრო ადვილია, ვიდრე ცოცხალი რომ მკვდრად გრძნობ თავს და განადგურებული ხარ, აღარაფერი რომ გიხარია. ამაზე მეტი საშინელება არაფერი მგონია დედამიწის ზურგზე. რაღაც შეგრძნებებით გამოვცადე, რა რთულია ომი და იქ მყოფი ადამიანის ემოციები. მინდა მადლობა გადავუხადო გაგა გოშაძეს, ასევე ყველა მსახიობს, ვინც ჩემთან ერთად თამაშობდა სპექტაკლში. ჩვენ უდიდესი შრომა და ენერგია ჩავდეთ, რომ მაყურებლამდე მიგვეტანა ის სათქმელი, რაც რეჟისორთან ერთად ჩავიფიქრეთ. მაყურებლებს მადლობა, რომელთა მხურვალე ოვაციები იმაზე მეტყველებს, რომ პრემიერა შედგა, რომ ჩვენი ემოციები ზუსტად მივიტანეთ მათთან, - გვითხრა მარინა ბურდულმა.

რეჟისორ გაგა გოშაძის თქმით, სპექტაკლი გვაჩვენებს ომის სიმძიმეებს და იმას, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს მან ადამიანი. გვაჩვენებს თვითგადარჩენის ინსტინქტით გაბია, პუბლიკა სუნთქვაშეკრული მიჰყვებოდა სიუჟეტის ლაბირინთებს და უფრო მეტიც, თანაგანმცდელი იყო სცენაზე მიმდინარე დრამატული პროცესებისა, რასაც ადასტურებდა ემოციური შეძახილები თუ ვერმოთმენილი და შუა სპექტაკლისას არაერთხელ მოზვავებული აპლოდისმენტების ტალღები... ცალკე აღნიშვნის ღირსია, თავად დედა კურაჟი მარინა ბურდულის შესრულებით, რომელმაც, კიდევ ერთხელ, დაატრიალა დიდი ჯადოქრობა ბათუმის სცენაზე, გვაჩვენა სამსახიობო ოსტატობის უმაღლესი კლასი. მქონდა განცდა, რომ არტისტი კი არ თამაშობდა რაიმე როლს, არამედ, თვით ბრეხტის ნამდვილი პერსონაჟი გაცოცხლდა და ჩვენი ქალაქის თეატრში გამოგვეცხადა. ძალიან კარგად იყო გადმოცემული კაცობრიობის მარადიული შავი ლაქა - ომი, მთელი თავისი სისასტიკითა და დრამატიზმით. ომი, როგორც ინდივიდთა ტრაგედიების ერთობლიობა, - გვითხრა გენრი დოლიძემ.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ მსახიობებსა და რეჟისორს წარმატებული პრემიერა მიულოცა თეატრის ახლად დანიშნულმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ნუკრი ქანთარიამ. მისი თქმით, ისეთ საინტერესო ქალაქში, როგორიც ბათუმია და ისეთ თეატრში, როგორიც ბათუმის დრამატული თეატრია, სამხატვრო ხელმძღვანელობა დიდი პასუხისმგებლობა და ამავდროულად სტიმულია, გამოცდილება მოახმაროს ამ თეატრს, რის გამოხატულებასაც, როგორც აღნიშნა, მალე იხილავს საზოგადოება.

- საკმაოდ რთული პიესაა, რომელშიც მარადიულ ომზეა საუბარი, ომზე, რომლის ფასიც ძალიან კარგად ვიცით ჩვენ, ქართველებმა. გაგა გოშაძე საინტერესო რეჟისორთაგანია და მინდა წარმატებები ვუსურვო მომავალშიც. აქვე აღსანიშნავია სპექტაკლში მონაწილე თითოეული მსახიობის თავდაუზოგავი შრომა. წინ არაერთი საინტერესო გეგმა გვაქვს, მოწვეული იქნებიან რეჟისორები, მაგრამ ჯერჯერობით თავად ვაპირებ რამდენიმე სპექტაკლის დადგმას, რადგან მინდა ამ ეტაპზე იმ შემოქმედებით რელსზე დადგეს თეატრი, რომელიც მიმაჩნია სწორად და რომელიც ამ ეტაპისათვისაა საჭირო. ვგულისხმობ იმას, რომ მაღალპროფესიონალური სვლებით დავიწყოთ და გავაგრძელოთ მუშაობა, არ გვქონდეს წყვეტა, რომ თეატრმა თავისი გამოკვეთილი სახე მონახოს და შემდეგ რეჟისორებს, რომლებიც ამ სახესთან იქნებიან ახლოს, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავუთმობთ სცენას. თეატრში უნდა იყოს მრავალფეროვანი და ყველა თაობის მაყურებლისთვის სასურველი თემატიკა, ვცდილობთ, რეპერტუარი ამ თვალსაზრისით ავაგოთ. ძალიან მნიშვნელოვანია თვითონ ბათუმის ისტორია, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ კონკურსი გამოვაცხადოთ ბათუმზე საუკეთესო პიესისთვის, რომელიც დაიდგმება თეატრში, - განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.